საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჭმინდა საქმეში, რაგორაც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტრუნის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 7 თებერვალი. 2018 წ. №26 (8427), გამოცემის მე-100 წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

„გადარჩენილი რევოლუციონერები“

თავისუფლების უკანასკნელი დღეები ⑧ სააკაშვილისთვის

ერიდეთ უცოდინარ ექიმებს! ⑦

ვახტანგ დავითაია:

რა ღირს ლეონარდო და ვინჩის ერთი საათი?

საგანგებო მდგომარეობის დროს მობილიზაციას ისევ პრეზიდენტი გამოაცხადებს

საგანგებო მდგომარეობის დროს მობილიზაციის გამოცხადების უფლებამოსილება კვლავ პრეზიდენტს ექნება. აღნიშნული უფლებამოსილების მთავრობისთვის გადაცემას რეზერვის სისტემასთან დაკავშირებით მომზადებული კანონპროექტი ითვალისწინებდა. როგორც თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ნუკრი გელაშვილმა განაცხადა, აღნიშნულ საკითხზე ეროვნული უშიშროების საბჭოს წარმომადგენლების მოსაზრება იქნა გაზიარებული.

მზეჭალა შანიძე:

„ვინ თქვა, რომ დავბერდი და აღარ ვვარგივარ,
მეათე ათეულს ვიწყებ მე ჯერ,
ინტერნეტ სივრცეში ჩიტივით დავქრივარ,
მეგობარ ნაცნობებს იმეილს ვწერ,
ფულიან საქმაროს თუ სადმე წავაწყდი,
ვერ გამექცევა, იცოდეთ, ვერ...“

③

ჩაბუქი საქართველოს პროკურატურის ბრალდებული არ არის!

მთავარი პროკურორის ირაკლი შოთაძის განცხადებით პროკურატურამ სასამართლოს მუსტაფა ემრე ჩაბუქის ექსტრადირების საკითხთან დაკავშირებით თურქეთის პროკურატურიდან მიღებული მტკიცებულებების და სისხლის სამართლის საქმის მასალების საფუძველზე მიმართა.

„სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში ჩვენ სასამართლოს მივმართეთ. ჩაბუქის ექსტრადირების დასაშვებობის საკითხის შესწავლა სასამართლოს მიერ ხდება. ჩვენ თურქეთის პროკურატურიდან მიღებულ მასალებს წარვადგენთ. დაცვის მხარე და შესაბამისი დაინტერესებული პირი მის ხელთ არსებულ მასალებს წარადგენს. სასამართლო შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებს. ეს ჩვენი ბრალდების სისხლის სამართლის საქმე არ არის. ხსენებული პიროვნება საქართველოს პროკურატურის ბრალდებული არ არის. აქ საუბარი ექსტრადირების პროცესზეა. ეს პროცედურები თურქეთის პროკურატურიდან მიღებული მტკიცებულებების და სისხლის სამართლის საქმის მასალების საფუძველზე სისხლის სამართლის საერთაშორისო თანამშრომლობის კანონით გათვალისწინებულ ფარგლებში ტარდება“, — განაცხადა ირაკლი შოთაძემ.

ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ძალები რუსეთის არმიის შემადგენლობაში

ვლადიმერ პუტინმა ე.წ. რატიფიცირების შესახებ კანონს ხელი მოაწერა. შესაბამისი განცხადება რუსეთის პრეზიდენტის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

ოკუპირებულ ცხინვალსა და რუსეთს შორის გაფორმებული შეთანხმება ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის ცალკეული სამხედრო შენაერთების, რუსეთის არმიის შემადგენლობაში შესვლას გულისხმობს. შეთანხმება ოკუპირებულ ცხინვალსა და რუსეთს შორის 2017 წლის მარტში, 25 წლის ვადით გაფორმდა. საქართველოს პრეზიდენტის საერთაშორისო მდივანი თენგიზ ფხალაძე რუსეთის ქმედებებს აფასებს და აცხადებს, რომ პუტინის ქმედება ე.წ. მორიგი ხელშეკრულების რატიფიკაციასთან დაკავშირებით კიდევ უფრო დაძაბავს უსაფრთხოების ისედაც საკმაოდ სუსტ გარემოს საქართველოსა და რეგიონში.

„უკიდურესად აღმაშფოთებელია გუშინდელი გადაწყვეტილებები ოკუპირებულ რეგიონებთან ე.წ. მორიგი ხელშეკრულების რატიფიკაციასთან დაკავშირებით, მით უფრო, იმ ფონზე, როდესაც ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობას არა აქვს იმის შესაძლებლობა, რომ გადმოკვეთოს საოკუპაციო ზოლი და ელემენტარული ჯანმრთელობასთან დაკავშირებული დახმარება მიიღოს.

განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ე.წ. შეიარაღებული ძალების შესვლა რუსეთის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში. ეს არის ნაბიჯი, რომელიც კიდევ უფრო დაძაბავს უსაფრთხოების ისედაც საკმაოდ სუსტ გარემოს არა მხოლოდ საქართველოში, არამედ რეგიონში და კიდევ ერთხელ, ორივე ნაბიჯი ხაზს უსვამს იმას, რომ საერთაშორისო ზეწოლა რუსეთზე უნდა იყოს უფრო აქტიური, უფრო ძლიერი იმისათვის, რომ მომავალში მსგავსი ნაბიჯები არ გადაიდგას“, — განაცხადა თენგიზ ფხალაძემ.

შოთაძე არასრულწლოვანთა მკვლელობის საქმეზე

დანაშაული მდგომარეობს მკვლელობის ჩადენაში კონკრეტული პირების მიმართ და არა ინციდენტში მონაწილეობაში, — განაცხადა საქართველოს მთავარმა პროკურორმა 51-ე სკოლის მოსწავლეების მკვლელობის საქმეზე. ირაკლი შოთაძის შეფასებით, გამოძიება სრულყოფილად და ობიექტურადაა ჩატარებული, ხოლო ბრალდებულთა დაცვის მხარის განცხადებები სპეკულაციაა და ის საზოგადოების შეცდომაში შეყვანას ემსახურება.

პაციენტების განაწილების კორუფციული წესი, „აჭკატები“ და ბიუჯეტიდან გაფლანგული ათასობით ლარი

პირველი **კლინიკური საავადმყოფოს დირექტორის დავით ოშხერელის განცხადებით, თბილისის სასწრაფო დახმარების ცენტრი პაციენტებს კლინიკებში სუბიექტურად ანაწილებს.**

როგორც ოშხერელმა „აქცენტს“ განუცხადა, მათ კლინიკას მეტი რესურსი გააჩნია, თუმცა სასწრაფო დახმარების ცენტრი მას არ იყენებს.

„იმაზე მეტი პაციენტის მიღების რესურსი გვაქვს, ვიდრე სასწრაფო დახმარების ცენტრს შემოჰყავს ჩვენთან. აქ მნიშვნელოვანი ისაა, რომ ადმინისტრაცია პაციენტებს სუბიექტურად ანაწილებს. არა აქვთ კონკრეტული წესი, რისი მიხედვითაც მოხდება პაციენტების გადანაწილება. არადა, ამ მექანიზმის შექმნა ძალიან მარტივია. საკითხავია, მათ ამის უნარი არ შესწევთ, თუ სურვილი არ აქვთ, არ აწყობთ? ეს არის გაუთავებული პრობლემა, რომელიც უკვე დიდი ხანია, არსებობს“ — აცხადებს ოშხერელი.

მისივე თქმით, **გავრცელებული მოსაზრება, რომ სასწრაფო დახმარების ცენტრის ხელმძღვანელობა შეკრულია გარკვეული კლინიკების ხელმძღვანელობასთან, სულ უფრო მყარდება.**

„როდესაც ვხედავთ, რაოდენ სუბიექტურად ხდება პაციენტების გადანაწილება, რა თქმა უნდა, ეს აზრი ჩნდება. ადრე ჩვენ გვქონდა მერიაში ამ საკითხზე საუბარი. აუცილებელია ამ სტრუქტურის ძირეული ცვლილება. მსგავსი მართვით ხომ ზიანი ადგება ქვეყნის ბიუჯეტს. ორგანიზაცია არ უნდა იმართებოდეს 3 ადამიანის სუბიექტური გადაწყვეტილებებით. ეს იწვევს ზედმეტი საწვავის ხარჯვას, ბრიგადას ეხარჯება მეტი დრო და ა.შ. ახლა უკვე ვაპირებთ, ამ საკითხთან დაკავშირებით სასამართლოს მივმართოთ“ — აცხადებს ოშხერელი და დასძენს, რომ ახალი მერის იმედი აქვს:

„არ შეიძლება, ორგანიზაცია ამდენი წლის განმავლობაში ასე იმართებოდეს. ამას ბოლო უნდა მოეღოს, ვიღაცამ უნდა მოაგვაროს ეს საკითხი“.

გადაუდებელი ქირურგიისა და ტრავმის ცენტრის დირექტორი ქეთი ბეჟანიშვილი ამ სფეროში სერიოზული პრობლემების არსებობას ადასტურებს, თუმცა თემაზე ვრცლად საუბარი არ სურს.

„შეგიძლიათ, ჟურნალისტური გამოძიება ჩაატაროთ, დააყენოთ კამერები და ნახავთ, როგორ ნაწილდებიან პაციენტები. ერთგან 40 პაციენტი შედის, მეორეგან — არცერთი და ა.შ. მეტს ვერაფერს გეტყვით, რადგან როდესაც ერთხელ ამ საკითხზე ვისაუბრე, პრობლემები შემექმნა. თუმცა ვიტყვი ერთს: ჩემი ფანჯრებიდან ყველაფერი ჩანს“ — აცხადებს ბეჟანიშვილი.

ერთ-ერთი კლინიკის დირექტორი კი, რომელმაც ვინაობის გასაჯაროება არ ისურვა, „აქცენტთან“ კერძო საუბრისას აცხადებს, რომ **პაციენტების მიყვანის სანაცვლოდ კლინიკას წილი სთხოვეს.**

„ნამდვილად ვიჩაგრებით, ბევრი სხვა კლინიკაც ასეა, თუმცა ამაზე ღიად ვერავინ საუბრობს, რადგან გვეშინია, კიდევ უფრო მეტად არ დავიჩაგროთ. სერიოზულ პრობლემებს ვაწყდებით. იმედი გვაქვს ახალი მერის, თუმცა ჯერჯერობით არც მერიის ახალი ადმინისტრაციისგან ისმის რამე“.

„აქცენტმა“ არასამთავრობო ორგანიზაცია IDFI-ს დახმარებით თბილისის სასწრაფო დახმარების ცენტრიდან პაციენტების ჰოსპიტალიზაციის სტატისტიკური მონაცემები გამოითხოვა, თუმცა ცენტრს მასალები ამ დრომდე არ მოუწოდებია. ამასთან, ცენტრში არც კლინიკების ხელმძღვანელთა მიერ წაყენებულ ბრალდებებზე აკეთებენ კომენტარს. სასწრაფო დახმარების ცენტრის ხელმძღვანელ პირებთან დაკავშირებით ამ დღეებში მასალა გაავრცელა სააგენტო „თაიმერმაც“.

ინფორმირებულ წყაროზე დაყრდნობით იგი წერს, რომ **ქ. თბილისის მერიის სსიპ-სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის დირექტორი მაკა გვარამია და მისი მეუღლე კლინიკებს პაციენტების შეყვანის სანაცვლოდ ე.წ ატკატებს, რიგ შემთხვევაში კი წილში „ჩაჯდომასაც“ სთხოვენ.**

სააგენტოს წყაროს მტკიცებით, მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურად ეს სამსახური მერიის სსიპ-ა, მას სუს-ი აკონტროლებს; რომ სასწრაფო დახმარების ცენტრის დირექტორი გვარამია სუს-ის მაღალჩინოსნის — სოსო გოგაშვილის ცოლის დაქალია და რომ ამ სამსახურში მუშაობს გოგაშვილის ცოლის დისშვილიც.

მასალაში საუბარია ოჯახის მიერ დიდი ოდენობით სახელმწიფო თანხების „გათეთრებაზეც“.

ცნობისთვის: მაკა გვარამია თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების უფროსად დანიშვნამდე დედაქალაქის საკრებულოში „ქართული ოცნების“ დეპუტატი იყო.

კოტე მკურნალიძე
„აქცენტი“

ირაკლი კობახიძე ელიზაბეტ მილარდს შეხვდა

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწის პირველ მოადგილეს ელიზაბეტ მილარდს შეხვდა.

შეხვედრაზე ქვეყნებს შორის ორმხრივი ურთიერთობისა და სტრატეგიული თანამშრომლობის გაღრმავების შესახებ ისაუბრეს. ელიზაბეტ მილარდმა ქართულ მხარეს ავღანეთის სამშვიდობო მისიაში ქართველი ჯარისკაცების მონაწილეობისა და მსოფლიო უსაფრთხოების დაცვაში შეტანილი წვლილისთვის მადლობა გადაუხადა. მხარეებმა საქართველოს პარლამენტის დღის წესრიგი განიხილეს და უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ინსტიტუციური და საზედამხედველო ფუნქციის გაძლიერების შესახებ იმსჯელეს.

საუბარი, ასევე, ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიულ რეფორმებს, „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ კანონპროექტსა და საქართველოში არსებულ ლიბერალურ სავაჭრო და ეკონომიკურ პოლიტიკას შეეხო. პარლამენტის თავმჯდომარემ ელიზაბეტ მილარდს საკონსტიტუციო ცვლილებების შინაარსი და ძირითადი არგუმენტები გააცნო. მხარეებმა საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესი განიხილეს. შეხვედრას ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი დავით ბაქრაძე და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტის უფროსი ნიკოლოზ სამხარაძე ესწრებოდნენ.

კახა კალაძე ევროპის „ღია მმართველობის პარტნიორობის“ ლიდერთა ფორუმს დაესწრო

დედაქალაქის მერი კახა კალაძე ევროპის „ღია მმართველობის პარტნიორობის“ (OGP) ლიდერთა ფორუმს დაესწრო. თბილისის მერმა ფორუმის მონაწილეებს ღია მმართველობისა და მოქალაქეთა ჩართულობის კუთხით დაგეგმილი სიახლეები გააცნო.

თბილისის მერიამ ფორუმის ფარგლებში გამართულ სადისკუსიო სესიაზე, დამსწრე საზოგადოებას ახალი ელექტრონული პეტიციების პორტალი — „შენი იდეა ქალაქის მერს“ წარუდგინა, რომელიც სამოქალაქო და ბიზნესსექტორის აქტიური ჩართულობითა და პარტნიორ ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით განხორციელდა. კახა კალაძის განცხადებით, მისასალმებელია, რომ თბილისი ერთ-ერთი პირველი დედაქალაქია, რომელიც „ღია მმართველობის პარტნიორობას“ შეუერთდა და წელს, გლობალური სამიტის მასპინძელი ქალაქი სწორედ ის იქნება.

„ძალიან მნიშვნელოვანი ფორუმი იყო, რომელსაც ორგანიზაციის წევრი ქვეყნების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. მათ ღია მმართველობასთან დაკავშირებით ჩვენი ხედვები გავაცანით, თუ რა პროექტების განხორციელებას ვაპირებთ მომდევნო წლების განმავლობაში. პირველი პროექტი „შენი იდეა ქალაქის მერს“ უკვე მომზადებულია, რომლის პრეზენტაციასაც მომდევნო დღეებში დედაქალაქის მოსახლეობისთვის გავმართავთ. მათ ექნებათ ყველანაირი შესაძლებლობა, რომ ქალაქის მართვაში ჩაერთონ, ასევე წარმოადგინონ გარკვეული პროექტები, რომელიც შესაძლებელია, მომდევნო წლების განმავლობაში დედაქალაქის მერიამ მათთან ერთად განახორციელოს“, — განაცხადა კახა კალაძემ.

მისი თქმით, „ღია მმართველობის პარტნიორობის“ გლობალური სამიტის ფარგლებში 17 ივლისს თბილისს 75-მდე ქვეყნის წარმომადგენელი ეწვევა, რაც მსოფლიოსთვის საქართველოს გაცნობის კიდევ ერთ შესაძლებლობას იძლევა.

დიმიტრი ქუმსიშვილი: წიაღისეულის შესახებ სახელმწიფო ფონდებში დაცული ინფორმაცია შესაძლებელია, ყოველგვარი გადასახადის გადახდის გარეშე გაიცეს

„ჩვენ სამუშაო შეხვედრა გავმართეთ კერძო სექტორთან, რომელსაც გავაცანით როგორც განხორციელებული, ისე დაგეგმილი რეფორმები, რომლებმაც უნდა გაუმჯობესოს ბიზნეს და საინვესტიციო კლიმატი წიაღის სექტორში,“ — ამის შესახებ პირველმა ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა წიაღის სექტორის ლიცენზიანტი კომპანიების წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

პირველი ვიცე-პრემიერის განცხადებით, ერთი ქოლგის ქვეშ, ეკონომიკის სამინისტროს სისტემაში წიაღისეულის, ქონების და ენერგეტიკის მიმართულებების თავმოყრას, ერთმნიშვნელოვნად დიდი სინერგიის ეფექტი აქვს. **„ჩვენ მნიშვნელოვანი რეფორმები დავიწყეთ წიაღისეულის მოპოვების ნაწილში. მთავრობის წინა სხდომაზე მიღებული ცვლილებების თანახმად, წიაღისეულის შესახებ სახელმწიფო ფონდებში დაცული ინფორმაცია დაინტერესებულ პირებზე შესაძლებელია, ყოველგვარი გადასახადის გადახდის გარეშე გაიცეს. ცოტა ხანში აღნიშნული ინფორმაცია ხელმისაწვდომი იქნება ელექტრონული სახით ვებგვერდზე, სადაც მომხმარებელი, ინვესტორი შეძლებს გაფილტროს ინფორმაცია როგორც მუნიციპალიტეტის, ასევე კონკრეტული წიაღისეულის დასახელების თუ ნაირსახეობის მიხედვით. ეს მნიშვნელოვნად გაუუმჯობესებს ბიზნესს შესაძლებლობას, დაგეგმოს საკუთარი გადაწყვეტილებები და განსაზღვროს საინვესტიციო მიმართულებები,“** — განაცხადა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

უკრაინა და საქართველო მართვის მოწმობების ურთიერთაღიარებაზე მოლაპარაკებებს აწარმოებენ

ამის შესახებ უკრაინის შსს-ს ინფორმაციით, უწყების ხელმძღვანელმა არსენ ავაკოვმა უკრაინაში საქართველოს ელჩთან გელა დუმბაძესთან შეხვედრაზე განაცხადა.

უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, შეხვედრაზე მხარეებმა აღნიშნეს, რომ ორი ქვეყნის სამართალდამცველი ორგანოების უწყებათშორისი ეფექტური თანამშრომლობა მაღალ დონეზე მიმდინარეობს, განსაკუთრებით კი, საპოლიციო დონეზე. **„ჩვენმა მეგობარმა ერებმა სირთულეები ერთად უნდა გადალახონ. უკრაინისა და საქართველოს სამართალდამცველი ორგანოების ეფექტური მუშაობა ორივე ქვეყნის მოქალაქეების მიერ უდავოდ დადებითად იქნება აღნიშნული“,** — განაცხადა ავაკოვმა.

უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრმა ასევე აღნიშნა, რომ ამჟამად თანამშრომლობის პრიორიტეტული მიმართულება მართვის მოწმობების აღიარებასთან ერთად არის ტრანსსაზღვრო დანაშაულთან ეფექტური ბრძოლისთვის ურთიერთქმედების მექანიზმების ოპტიმიზაცია.

მზექალა შანიძე:

პარლამენტის წევრების ლაპარაკი რომ მესმის, მინდა, ტელევიზორს რაღაც ვესროლო!

მაგთიკლუბი თავისი ცნობილი და პოპულარული „ცოცხალი კომუნიკაციებით“ მართლაც უამრავ სიურპრიზს უმზადებს დედაქალაქელებსა და მის სტუმრებს. რამდენიმე დღის წინათ მაგთიკლუბი ქართული ფილოლოგიის ლეგენდას, ქალბატონ მზექალა შანიძეს მასპინძლობდა. საინტერესო ისტორიები, დახვეწილი საუბრის მანერა, იუმორი არ აკლდა ამ საღამოს – მისი გავლილი წლები, არცთუ დალხინებული, მკაცრი მეოცე საუკუნის ოცდაათიანი წლები, ომი, ომის შემდგომი პერიოდი, ქართველი ინტელიგენცია და უნივერსიტეტის სათავეებთან მდგომი კორიფეები, მისი პედაგოგები და ქართული ენის პატრიარქი, ქალბატონ მზექალას მამა დიდი აკაკი შანიძე. საუბარი, რაშიც ყველა დამეთანხმება, მართლაც საინტერესო იყო.

მზექალა შანიძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტი, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ემერიტუსი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, ენათმეცნიერი, აღმოსავლეთმცოდნე, ღირსების ორდენის კავალერი, ივანე ჯავახიშვილისა და აკაკი შანიძის სახელობის პრემიების ლაურეატი:

„ჩემი ხნის რომ გახდება ადამიანი, გრძელი ცხოვრების გზა რომ აქვს გავლილი, რაღაცა უნახავს, რაღაცა გაუგონია, რაღაც თავადაც გაუკეთებია და ამიტომ დავეთანხმე ასეთ შეხვედრას. მე ჩემი ბავშვობა გავიარე იმ ეპოქაში, როცა რევოლუციისა და სამოქალაქო ომის ამბები დაწყნარებული არ იყო. ჩემი ოჯახური წრე იყო წრე იმ ხალხისა, რომელიც გარკვეულ ინტერესს იწვევს რადგან ეს ხალხი იყვნენ უნივერსიტეტის დამაარსებლები.

უნივერსიტეტის დაარსება სრულიად განსაკუთრებული მოვლენა გახლდათ, ეს იყო იმ ახალი გზის ძებნის მცდელობა, რომელიც თავის დროზე ილიამ დასახა და რომლის გამგრძელებლად უნდა ჩაითვალოს ივანე ჯავახიშვილი. საქართველოში მეცხრამეტე საუკუნეშიც იყვნენ კარგი მეცნიერები, მწერლებიც, მაგრამ არ იყო ის ფართო საზოგადოება, რომელიც საზოგადოებრივ აზრს ქმნის. ილია ჭავჭავაძე ამას ძალიან კარგად ხედავდა. ივანე ჯავახიშვილი, რომელიც დიდებულ ქართულ ოჯახში დაიბადა, ამ იდეით წავიდა სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტში და იქ დაიწყო ამაზე ზრუნვა. პეტერბურგში სტუდენტები სწავლასთან ერთად ემზადებოდნენ მომავალი მუშაობისთვის. მამაჩემი, აკაკი შანიძე ივანე ჯავახიშვილის ერთ-ერთი მოწაფე იყო. იქ იყვნენ იოსებ და დავით ყიფშიძეები და ბევრი სხვა. როგორც კი შეიქმნა შესაძლებლობა, ისინი წამოვიდნენ საქართველოში. წამოვიდნენ ძალიან რთულ სიტუაციაში: სამოქალაქო ომისა და რევოლუციის შემდგომი არეულობების პირობებში. მე უნივერსიტეტის დაარსებას არ მოვსწრებივარ, 30-იან წლებშიც პატარა ბავშვი ვიყავი, მაგრამ ბევრი რამ მახსოვს, რადგან ეს წრე ტრიალებდა ჩემს ოჯახში, თავად ივანე ჯავახიშვილიც მოსულა ჩვენთან. იყო ბევრი მსჯელობა და ლაპარაკი, საქმის კეთება... იყო სირთულეები, ახლიდან იწერებოდა ისტორია, გამოვიარეთ 37 წელი. არავინ იცოდა, ვის როდის რა მოელოდა. ძალიან ბევრი ადამიანი დავკარგეთ. ომის წლებიც ძალიან მძიმე იყო – სიცივე, შიმშილი... მაგრამ ეს კი არ არის მთავარი, ახლა მნიშვნელოვანია ის, რომ თანამედროვე საზოგადოებამ გაიაზროს ის გზა, რომელიც გავიარეთ, რადგან ბევრი რამ ცხოვრებაში გასაგები ხდება, წარსულს თუ დავუკვირდებით.

30-იან წლებში დაიწყო კამპანია ბურჟუაზიული მეცნიერების შესახებ. მე მაშინ ამის არაფერი მესმოდა, მაგრამ ვხედავდი, რომ ხალხი შეწუხებული იყო. ივანე ჯავახიშვილი, ფაქტობრივად, გააგდეს უნივერსიტეტიდან... ეს არ იყო დამოკიდებულება რომელიმე ერთი მეცნიერების მიმართ. შედეგად, მაგალითად გენეტიკაში, საბჭოთა კავშირი ჩამორჩა მსოფლიოს, რადგან ეს მეცნიერება მიჩნეულ იქნა ბურჟუაზიულ მეცნიერებად – მსოფლიოს სახელის მქონე მეცნიერი, ვავილოვი ციხეში ჩაალპეს... მიუხედავად იმისა, რომ დავკარგეთ ბევრი მეცნიერი, ზოგი წაიყვანეს და აღარ დაბრუნებულან, საღი აზრი მეცნიერებაში მაინც იყო და უნივერსიტეტში ბევრი რამ მაინც კეთდებოდა და იყო ძალიან მაღალ დონეზე. მე დავესწარი ივანე ჯავახიშვილის გარდაცვალებას. იყო საჯარო ლექცია. მამაჩემი თვლიდა, რომ 14-15 წლის მოზარდი უნდა დასწრებოდა ასეთ შეკრებებს. ივანე ჯავახიშვილი ამ ლექციის დროს გარდაიცვალა. ის ქუჩა მთლიანად გაივსო ხალხით. მისი გარდაცვალება ხალხმა ეროვნულ უბედურებად აღიქვა. ძალიან ჩამრჩა მეხსიერებაში ივანე ჯავახიშვილის დაკრძალვა. აუარება ხალხი იდგა და ერთმანეთშიც კი არ საუბრობდა – ეს გასვენება კი არა პოლიტიკური დემონსტრაცია უფრო იყო.

დღევანდელ საქართველოში ძალიან მძიმე და რთულია მეცნიერების მდგომარეობა. ძალიან ჭირს მეცნიერული მუშაობა. განსაკუთრებით უჭირთ არაჯუმანიტარებს – ვისაც სჭირდება ლაბორატორია, ექსპერიმენტი. საქართველოდან, ძალიან ბევრი მეცნიერი საზღვარგარეთ მუშაობს. თან მიხარია, ამას რომ ვისმენ და თან გული მტკივა. მაგალითად, რატომ უნდა იყოს გია დვალი ამერიკაში და არა საქართველოში? კი, იქაც იყოს, მაგრამ ისე არ უნდა იყოს, რომ მეცნიერს გასაძცევად ჰქონდეს საქმე.

ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორი, ზაზა აბაშიძე: მართლა ძალიან მნიშვნელოვანია ასეთი შეხვედრები. განა რა უნდა ვილაპარაკო, როცა ჩემთან ასეთი ადამიანები მუშაობენ. მაგთიკლუბი ჩვენ გვაძლევს შანსს, რომ ასეთმა ადამიანებმა გადასცეს თავიანთი გამოცდილება და ნააზრევი ახალგაზრდებს. ხელნაწერთა ინსტიტუტი მომავალშიც აუცილებლად ესტუმრება კლუბს ძალიან საინტერესო ადამიანებთან ერთად და სიამოვნებით გავუზიარებთ სტუმრებს საინტერესო ფაქტებს ჩვენი ქვეყნისა და გამოჩენილი მამულიშვილების ცხოვრებიდან. უღრმესი პატივისცემა ქალბატონ მზექალას ამ რანგის მასტერკლასისთვის და ძალიან დიდი მადლობა მაგთიკლუბს ამ დიდებული შესაძლებლობისა და საოცარი ატმოსფეროსთვის.

დღევანდელ ახალგაზრდობას ძალიან ხშირად პრაგმატული დამოკიდებულება აქვს ცხოვრებისადმი, ქვეყნისადმი და, სიმართლე გითხრათ, გული მტკივა, როცა მესმის ფრაზები: „აქ არ დამედგომება“, „უნდა წავიდე“, „სხვაგან უნდა ვიცხოვრო“... მე ბევრი ქვეყანა მომივლია, სხვადასხვა პერიოდით მიცხოვრია, დამიჯერეთ, უცხო გარემოში ყოფნა ძალიან ძნელია – სხვა გარემო, სხვა შეფასებები, სხვა კრიტერიუმები... არც მინდა, რომ ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობა გაიკრიფოს... თქვენ როგორ გგონიათ, ივანე ჯავახიშვილს ულხინდა? ან სხვებს? მაინც ჩამოვიდნენ და თავისი საკეთებელი საქვეყნო საქმე აკეთეს!

ჩემი მუშაობა ძირითადად, შემოიფარგლება უნივერსიტეტითა და მეცნიერებათა აკადემიით. სწავლა დავიწყე ფილოლოგიის ფაკულტეტზე, შემდეგ ჩამოყალიბდა აღმოსავლური ფაკულტეტი და იქ გადავედი, ვსწავლობდი არაბულს, ძველ ებრაულს. ორი წელი გავატარე ლენინგრადის (სანკტ-პეტერბურგის) ასპირანტურაში. მაშინ იქ ჯერ კიდევ იყვნენ შემორჩენილი ძველი რუსული ინტელიგენციის წარმომადგენლები, რომელთა უმრავლესობა საბჭოთა იმპერიამ გაწყვიტა. 2 წელი გავატარე მათ გარემოცვაში. უნივერსიტეტში ვასწავლიდი არაბულსა და ძველ ებრაულს. ნელ-ნელა გადავედი ქართულის სწავლებაზეც. დავიწყე მუშაობა ხელნაწერთა ინსტიტუტში. ძირითადად ვმუშაობდი ძველ ქართულ ხელნაწერებზე. ვმუშაობდი ბიბლიურ ტექსტებზე. ბიბლია ძალიან საინტერესო ძეგლი გახლავთ. მე თეოლოგი არ ვარ და ამ თვალსაზრისით ბიბლიას არ ვსწავლობდი, მაგრამ ეს არის ის ძეგლი, რომელმაც უდიდესი გავლენა იქონია ქართულ ენაზე, მწერლობაზე და საზოგადოდ, ქართული კულტურული ცნობიერების ჩამოყალიბებაზე. მით უფრო, რომ გარემოცვა იმ დროისთვის იყო არაქრისტიანული... ბიბლიაში ლექსიკის ძალიან დიდი მარაგია. მისი ცოდნა აუცილებელია ძველი ქართული ლიტერატურის ან სხვა ტექსტების შესწავლისთვის. ციტატები ბიბლიიდან გვხვდება ვეფხისტყაოსანში, ქართლის ცხოვრებაში...

ერთხელავე უნდა სთქვა, რომ არ მივილებ პროტექციას – გიჟად ჩაგთვლიან, მაგრამ თავს დაგანებებენ. გამოცდების პერიოდში ხშირად კომისიის წევრები იმალებოდნენ, მე არავინ მივარდებოდა ღია კარებშიც კი – იცოდნენ, აზრი არ ჰქონდა... თუმცა ჩვენ, მეცნიერები არა ვართ საშინელი ხალხი, როგორც გვხატავენ ხოლმე, გაცინებაც ვიცით და ხუმრობაც. იმავე გამოცდებზე ჩვენი ხუმრობა და კაფიობა საკმაოდ ცნობილი იყო. ხან დავწერდით, ხან ვიტყოდით ხოლმე სახუმარო ლექსებს.“

კაფიების სიყვარული ახლაც მოჰყვება: 90 წლის იუბილეზე საკუთარი თავისთვის მიძღვნილი კაფია ღიმილით წაგვიკითხა:

„ვინ თქვა, რომ დავბერდი და აღარ ვვარგივარ,
მეათე ათეულს ვიწყებ მე ჯერ,
ინტერნეტ სივრცეში ჩიტივით დავქრივარ,
მეგობარ ნაცნობებს იმეილს ვწერ,
ფულიან საქმაროს თუ სადმე წავაწყდი,
ვერ გამექცევა, იცოდეთ, ვერ...“

მოკლედ ჩემი წილი საქმე მეც გავაკეთე.“

თავისი წილი საქმე ყველამ უნდა გააკეთოს. არა აქვს მნიშვნელობა ვინ და რა პროფესიის იქნება ადამიანი. თუ ჩვენ მართლა დემოკრატიული ქვეყანა გვინდა, უნდა ვიცოდეთ, რომ ყველა ადამიანი, რომელიც პატიოსანი და ღირსეულია – თანაბრად დაფასებული უნდა იყოს.

„ირონია, ხუმრობა საკუთარი თავის მიმართ, სხვის მიმართ, ძალიან კარგი რამ არის. გამოჩენილი მოკაფიავე იყო ენათმეცნიერი ალექსი ჭინჭარაული. საერთოდ ეს შაირობა და კაფიობა მთაში ძალიან მიღებულია და ალექსის ვერაფრით ვაჯობებდით, შესანიშნავი იყო ვახუშტი კოტეტიშვილი. კაფია საწყენი არ უნდა იყოს.

მეცნიერება და საქმისადმი სერიოზული დამოკიდებულება არ გამორიცხავს ხუმრობასა და იუმორს. ის რომ, ჯერ კიდევ შემიძლია ურთიერთობა ჩემს მომდევნო თაობებთან, სიცოცხლისა და მუშაობის ძალას მაძლევს – ამბობს ქალბატონი მზექალა და ძნელია, არ დაეთანხმო.

...დარბაზიდან შეკითხვებს აყრიან, ზოგი სტუმარი მის დაწერილ „ხუთიანებს“ იხსენებს...

– ოდესმე, მართლა თუ გითქვამთ ფრაზა – „5-იანზე ქართული იცოდა მამაჩემმა, 4-იანზე მე და 3-იანი სტუდენტებსო“?

– ეს არის გადმოქართულებული ნიკოლოზისდროინდელი რუსული ანეკდოტი, მე მაგის მსგავსი არავისთვის მითქვამს და 5-იც ბევრი დამიწერია. ან რა უფლება მქონდა, მცოდნესთვის არ დამეწერა?! ეგ ნათქვამი აბსოლუტური ჭორია, თუმცა მკაცრი კი ვიყავი.

–ქართული ენის დღევანდელ სწავლებაზე რას იტყვით?

– სკოლაში ქართული დღეს ძალიან ცუდად ისწავლება და, რა თქმა უნდა, ის, რომ ენას საგანგებოდ არ ასწავლიან, ძალიან ცუდი რამ არის. ბოლოს და ბოლოს წმინდა პრაქტიკული თვალსაზრისით: ადამიანს სწორი მეტყველება უნდა ჰქონდეს და ეს სწორი მეტყველება ენის სისტემის შესწავლით მიიღწევა. ჩემი ღრმა რწმენაა, რომ ენის გაკვეთილები სკოლაში ცალკე უნდა იყოს.

ამასთანავე ძალიან ცუდი მეტყველება გვესმის დღეს ყველგან და ამაში დამნაშავეა პრესაც და ტელევიზიაც, იმიტომ, რომ თავს გვახვევენ ეკლიანი ძართულით (ასე ვეძახი მათგან დამახინჯებულ ენას). პარლამენტის წევრების ლაპარაკი რომ მესმის, მინდა, ტელევიზორს რამე ვესროლო... ეროვნული უბედურებაა, როცა ადამიანების მთელი მეტყველება კანცელარიულ სტილზეა აგებული. ეს მკვდარი სტილი თანდათანობით ვრცელდება ჩვენში, საუბედუროდ.

– ცალკე უბედურებაა უცენზურო სიტყვები. თუმცა, ჩემთვის ეს იმდენად მორალის საკითხი არ არის, რამდენადაც ის მოწმობს გონებაშეზღუდულობას. უკეთესად რომ ვერ მეტყველებს, იმიტომ იყენებს ინვექტიურ ლექსიკას...

მოკლედ, ქალბატონმა მზექალამ არც ერთი პრობლემური საკითხი არ დატოვა განხილვის გარეშე, რომელიც, რა თქმა უნდა, აუდიტორიას აინტერესებდა. ეს მართლაც დიდი მასტერკლასი იყო.

ავთანდილ ბექაური

„ბარიგების ხელში ვართ!“



ნარკოტიკების გამსაღებლებს ფრთები შეასხა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის დასკვნამ იმის თაობაზე, რომ მარიხუანის შემადგენლობა უვნებელია და იგი ხელმისაწვდომი უნდა იყოს. ჯანმო-ს შეფასებით, მარიხუანიდან მიღებული ნაერთი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა და არ უნდა ეძვემდებარებოდეს სახელმწიფო შეზღუდვებს.

„ცხოველთა და ადამიანთა კვლევის შედეგად მიღებული უახლესი მტკიცებულებები გვიჩვენებს, რომ მარიხუანის გამოყენებამ შეიძლება იქონიოს გარკვეული თერაპიული გავლენა ეპილეფსიური კრუნჩხვების დროს და, სავარაუდოდ, ეს არ ჩაითვლება ნარკოტიკის გამოყენებად ან სხვა კანაბიდიოლების მიმართ დამოკიდებულების ჩამოყალიბებად“, — ნათქვამია აღნიშნული ორგანიზაციის მოსაზრებაში.

მათივე განმარტებით, სამედიცინო მარიხუანის მომხრეები ზუსტად ამ განსხვავებაზე მიუთითებენ კამათისას, რომ კანაფის მცენარეში აღმოჩენილ ნაერთს — კანაბიდიოლს (CBD) არ გააჩნია ინტოქსიკაციის ეფექტი, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არ იწვევს „კაიფს“, განსხვავებით Tetra Hydro Cannabinol-ისგან (THC). ამიტომ კანაბიდიოლი ხელმისაწვდომი უნდა იყოს იმ პაციენტებისთვის, რომლებიც სხვადასხვა სახის დაავადებას უჩივიან, რაც იწვევს ტკივილს, შფოთს, კრუნჩხვას.

ასეთი დასკვნის მიუხედავად, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია დასძენს, რომ აშშ-ის ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის ადმინისტრაცია კანაბიდიოლს განიხილავს, როგორც პირველ გრაფიკში შემავალ ნარკოტიკს, რაც ნიშნავს, რომ ბოროტად გამოყენების უზარმაზარი პოტენციალი გააჩნია მარიხუანას და მას სულაც არა აქვს სამედიცინო სარგებელი.

ასეთი ურთიერთგამომრიცხავი დასკვნების მიუხედავად, ქართველი ნარკოლოგები ერთ რამეში თანხმდებიან, რომ **მარიხუანა უაღრესად საშიში ნარკოტიკული ნივთიერებაა, რომელიც გზას უხსნის სხვა უფრო მძიმე ნარკოტიკებს და ამ დამღუპველი ნივთიერებების მიმართ ადამიანის შეჩვევას იწვევს.**

ფსიქოკორექციისა და ნარკოლოგიური ექსპერტიზის ცენტრის ექიმი-ნარკოლოგი **ილია ჩიკვილაძე** For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ, თუკი მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ ასეთი დასკვნა გამოაქვეყნა, რომ თითქოს მარიხუანა უვნებელია და ეპილეფსიური შეტევისას თერაპიული ეფექტი გააჩნია, გამოდის, ახლა უნდა ვედავოთ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციას. თუმცა ილია ჩიკვილაძის თქმით, თავისი პირადი გამოცდილებიდან გამომდინარე, სრულიად საპირისპირო მოსაზრება ჩამოუყალიბდა მარიხუანას შესახებ.

„ამას წინათ დამირეკეს და მითხრეს, რომ ახალგაზრდა ბიჭი კარგა ხნის განმავლობაში მარიხუანას ეწეოდა, დიდი ხანია, აღარ მოუწევია და ახლა უკვე ფსიქიკური აშლილობა აქვს. ამიტომაც ფსიქიატრთან მიიყვანეს ეს ბიჭი. მარიხუანა სულაც არ არის უწყინარი ნარკოტიკული საშუალება. მომბეზრდა ამათთან ჭიდაობა, მე ვერ მოვერევი ვერც ნარკოკარტელს და ვერც ერთ ნარკობარიგას. მათთან ლაპარაკი არ შეიძლება, ვერაფერს შეაგნებინებ, ისინი ხელიდან არიან წასულები. ცდილობენ, მაქსიმალურად ჩაითრიონ ახალგაზრდები და ქართული, ეროვნული ცნობიერება, რასაც ჩვენი ერის სიძლიერე და სახელმწიფოებრიობა ჰქვია, ყველაფერი გაანადგურონ. ამას ძალიან დიდი და სერიოზული ლობისტი ჰყავს და ეს საქმე სახელმწიფოების დონეზე წყდება“, — აღნიშნა ილია ჩიკვილაძემ.

მანვე განმარტა, რომ მცდარია მოსაზრება, თითქოს მარიხუანის შემადგენლობა უვნებელია, რადგან თვითონ ძლიერი ნარკოტიკია მარიხუანა. არავითარ სუსტ ნარკოტიკებში ის არ გადის. თუმცა, სანამ სახელმწიფო არ იქნება მზად, სერიოზულიად ებრძოლოს იმას, რომ ახალგაზრდები არ განადგურდნენ და არ განარკომანდნენ, მანამ შედეგი არ იქნება. მანამდე ნარკოგამსაღებლები ხან მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციას მოიშველიებენ და ხან რას და ხან რას. უბრალოდ, ჩვენ ამ ბარიგების ხელში ვართ.

თელავის სამხარეო ნარკოლოგიური ცენტრის ხელმძღვანელი **ლია კირვალიძე** For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ გარკვეული დაავადებების, მათ შორის, დეპრესიების, ეპილეფსიების დროს კანაბიდიოლს მართლაც აქვს თერაპიული ეფექტი; ასევე, მიჩვევისა და ტოქსიკურობის თვალსაზრისითაც, მარიხუანას ნაკლები საფრთხე გააჩნია, ვიდრე სხვა ნარკოტიკებს. თუმცა თავისი არასასურველი ეფექტი ამ ნარკოტიკულ ნივთიერებას მაინც აქვს. ამიტომ ერთმნიშვნელოვნად იმის თქმა, რომ მარიხუანა აბსოლუტურად უვნებელია და არანაირი ზიანის მოტანა არ შეუძლია, არასწორია. მთელ რიგ პაციენტებში, ვისაც ფსიქიკის მხრივ სუსტი ნიადაგი აქვს, მარიხუანა შეიძლება გახდეს ფსიქოზების, ფსიქოზური აშლილობების გამომწვევი. უამრავი შემთხვევაა ინტოქსიკაციური ჰალუცინოზების. გარდა ამისა, მარიხუანა განიხილება, როგორც ე.წ. გამშვები ნარკოტიკი, მისი მოხმარება ხშირად აჩენს რისკს, რომ მომხმარებელმა დაიწყოს სხვა უფრო მძიმე საინიექციო ნარკოტიკების მოხმარება.

„ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის დასკვნა ნარკოტიკების დეკრიმინალიზიციას ხელს შეუწყობს, მაგრამ მარიხუნის მოხმარების პოპულარიზაცია და რეკლამირება სწორი არ არის. ცხადია, ადამიანები მისი მოხმარების გამო ციხეში არ უნდა წავიდნენ, მაგრამ მარიხუანას სისტემატური, მასობრივი მოხმარება არ არის კარგი. შესაძლოა, ეპიზოდურმა, ათასში ერთხელ მოხმარებამ არ გამოიწვიოს ისეთი ხიფათი, შესაძლოა ისიც, რომ სამედიცინო ჩვენების დროს, როგორც თერაპიული ეფექტის მომცემი გამოვიყენოთ, მაგრამ ამან არ უნდა მიიღოს მავნე მოხმარების სახე“, — აღნიშნა ლია კირვალიძემ.

მანანა ნოზაძე

ყველაზე დიდი ნარკოტიკი ადამიანისთვის მეორე ადამიანია...

სიმართლე გითხრათ, ცოტა გაკვირვებული ვარ ნარკოტიკების დეკრიმინალიზაციის თემაზე ატეხილი პოლემიკით. აჭრელებულია სოციალური ქსელები „ძალიან მცოდნე“ ადამიანების „გენიოსური“ აზრებით, რომელთა უმრავლესობა, რბილად რომ ვთქვა, „კუმ ფეხი გამოყოს“ კატეგორიიდანაა და რეალობასთან აბსოლუტურად შეუსაბამოა. მათ რომ არ დავემსგავსო, არ ჩავყოფ ცხვირს იმ საქმეში, რომელიც ბოლომდე არ მესმის, რადგან არც მდგომარეობიდან გამოსასვლელი ზუსტი რეცეპტი გამაჩნია. დღეს ჩემმა ახალგაზრდა მეგობარმა (43 წლის გახლავთ) თავისი მოსაზრება მომწერა ამ საკითხზე, ვფიქრობ, სიმართლისგან შორს არ უნდა იყოს და ამიტომ, მისი ნებართვით, უცვლელად გთავაზობთ მას, თუმცა ვინაობის გამხელისგან თავს შევიკავებ:

„მინდა, გაგიზიაროთ ჩემი მოსაზრება დღევანდელი ნარკოპოლიტიკის გარშემო ატეხილ აურზაურზე! ზუსტად რომ აურზაურია და არა ჯანსაღი— პრობლემის იდენტიფიკაცია ან რეალური გამოსავლის სწორი ხედვა. ზედმეტია იმის ხსენება, რომ მართებული და გადაუდებელი ზომების მიღების რამე მეთოდოლოგია ყღერდეს სადმე. მოკლედ! ემოციებმა რომ აზრი არ გამიფანტოს — პუნქტებად ვაყალიბებ:

1. ჩემს თაობას საკუთარ ტყავზე აქვს გამოცდილი ეს სენი (თუმცა ის ნივთიერებები, რაც ამჟამად არის ხელმისაწვდომი, არც დაგვსიზმრებია ყველაზე ცუდ სიზმარშიც). ზოგი დავიღუპეთ, ზოგი „გავძვერით“, ზოგიც „ვბუქსაობთ“... რაც თავი გვახსოვს (ჩემი თაობის ბიჭებს მოგმართავთ), ნარკოტიკული საშუალებების გამსაღებლების ლომის წილი თვით იმ უწყებების წარმომადგენლები იყვნენ, რომლებიც შემდგომ აპატიმრებდნენ ნარკომომხმარებელს. დავივჯერო, რადიკალურად შეიცვალა ეს სიტუაცია? მინდა, რომ დავივჯერო! დამარწმუნეთ ამაში!

2. გარკვეული ნარკოტიკული საშუალებების ლეგალიზაცია დიახაც რომ მოხდა რიგ ქვეყნებში და მათ შორის დადებით შედეგებსაც მიაღწიეს — თუმცა ხაზგასმით მინდა განვაცხადო, რომ ამ ქვეყნებმა იმაზეც კარგად იზრუნეს, რომ ქვეყანაში ხელმისაწვდომი ნარკოტიკების ხარისხი და პოტენციური მომხმარებლისათვის ზიანის ხარისხი გათვალეს, შეუსაბამეს და გამოჰყვეს სახელმწიფო პროგრამები, რომლებიც მათ მკურნალობა-რეაბილიტაციას უზრუნველყოფდა. „ბიო“ — (ავჯაფსანდალებს) და სუბოტექს/ქსინ — სინთეტურ ნარკოტიკებს ამგვარ ქვეყნებში ძნელად თუ მოიძიებს ნარკოდამოკიდებული, და არც დაუწყებს ძებნას. ჩვენთან კი რატომღაც ყველანაირი ნაგავი შემოდის და ხელმისაწვდომია! უფრო მეტიც — გაცილებით უფრო რთულია ამ ნივთიერებების გავრცელების წყაროების იდენტიფიცირება, თვით ნივთიერებების ნარკოტიკად იდენტიფიცირებაც რიგ შემთხვევებში გაცილებით მეტ სიძნელეს წარმოადგენს, ხოლო მათ მიერ მიყენებულ ფიზიკურ და ფსიქიკურ ზიანზე საუბარი ყველაზე მტკივნეული თემაა — საკმარისია, გადაავლოთ თვალი ბოლო წლების სტატისტიკას. ამას, ფსიქოსარეაბილიტაციო ან სახელმწიფო დაწესებულებებიც დაადასტურებენ.

რა გვიკვირს — დალოცვილ მიწაზე ვცხოვრობთ და გენმოდიფიცირებულ საკვებს „გვტენიან“.

3. ვერ დავეთანხმები აზრს, რომ ნარკოდამოკიდებული ადამიანი კრიმინალია და სისხლის სამართლით უნდა ისჯებოდეს, განსაკუთრებით იმ რეალობაში, სადაც მათზე ზრუნვაზე, მკურნალობაზე და რეაბილიტაციაზე არ ვართ ორიენტირებული (ძვირი ჯდება? თუ უფრო შემოსავლიანია მათგან საპროცესო შეთანხმებები თუ ჯარიმები?). ვერც იმ აზრს ვეგუები, რომ ნარკოდამოკიდებული ადამიანი მხოლოდ თავის თავს ვნებს — ღადაობთ? — ძალაუნებურად ან შეგნებულადაც ნარკოდამოკიდებული პირი იმ ქსელში ებმება, სადაც დიდი შანსია, რომ ის ჯერ „ამღები“ აღმოჩნდეს, შემდეგ კი გასაღებაზეც „წაუცდეს ხელი“!

4. და მთავარი, რაც მინდა, მეგობრებო, თქვენ გაგიზიაროთ. ნარკოტიკული საშუალებები უსულო საგნებია, ისინი თავისით არ გვისტებიან ფილტვებში თუ ვენებში. ნარკოტრაგედიის, რომელიც ჩემს ქვეყანაში ტრიალებს, მთავარი „გმირები“ შემდეგი ინდივიდებია:

ნარკორეალიზატორები და მათი მფარველები; ზუსტად ამ სენთან „მებრძოლი“ გულგრილი და „მე არ მეხება“ უწყებების წარმომადგენლები; სხვადასხვა გრანტიჭამია სექტები, რომლებიც იმ პროპაგანდას აგორებენ, რომლისთვისაც კარგად უხდიან!

5. საქართველოს მთავრობას, ქართველ საზოგადოებას მოგმართავთ თხოვნით, მოთხოვნით და ჩემი სრული მხარდაჭერის დაპირებით: მოვახდინოთ პრობლემის სრულად და სიღრმისეულად იდენტიფიცირება! ერთად, ფრთხილად შევიმუშაოთ მასთან ბრძოლის მეთოდოლოგია სამართალდამცავების, ნარკოლოგების, ფსიქოლოგებისა და სოციოლოგების დახმარებით! და ბოლოს, გვეყოფა ყველაფრისგან საკუთარი პიარის შეთითხნა!!!“

ჩემი მხრიდან მინდა დავამატო, რომ სრულად ვეთანხმები მეხუთე პუნქტში გამოთქმულ თხოვნა-მოთხოვნას. საკითხზე მსჯელობა facebook-ში კი არ უნდა მიდიოდეს, სახელმწიფოს შესაბამისმა სტრუქტურებმა უნდა მოახდინონ საქმის მცოდნე სპეციალისტების შეკრება და სწორედ სახელმწიფო დონეზე შემუშავდეს მდგომარეობიდან გამოსვლის ერთიანი და სათანადო პროგრამა.

თამაზ ჩიქვანაია

ეს წერილი კარგა ხანია, ჩემს მაგიდაზე დევს, გამოქვეყნებაზე არ მიზრუნია. დარწმუნებული ვიყავი, ის დარჩებოდა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“. ამასობაში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში მოვიდა ახალი მინისტრი, ბატონი მიხეილ ჩხენკელი. მოვისმინე მისი საუბარი „იმედზე“. მომეწონა. ჩვენი პოზიციები თითქმის თანხვედრილია.

ამ პუბლიკაციას მის მხარდამჭერად ვბეჭდავ!

„ჩანაწერები განსჯისათვის“ — ესაა 60-წლიანი პედაგოგიური პრაქტიკის მქონე ადამიანის განსჯა უმაღლესი განათლების პრობლემებზე, პედაგოგისა, რომლის ხელში გაიარა ასეულობით ახალგაზრდამ ურთულეს, ცვალებად, არასტაბილურ, რეფორმატორობის მანიით დაავადებულ ხანაში, რომელმაც მოიცვა ორი სოციალურ-ეკონომიკური ფორმაცია, რამდენიმე ხელისუფლება და განათლების მინისტრი.

„ჩანაწერები“ რეალობის კონსტანტაცია და შეფასებაა. ჩემი მიზანი არ არის შექმნილი მდგომარეობის დამნაშავეთა აღმოჩენა და დამნაშავეთა „იერარქიულ კიბეზე“ მათთვის ადგილის მიჩენა...

უმაღლესი სკოლების დღევანდელი მდგომარეობა არ არის შექმნილი დროის რომელიმე ერთ მონაკვეთში, რომელიმე ერთი ხელისუფლების, ერთი მინისტრის პერიოდში. ის ყალიბდებოდა ნაბიჯ-ნაბიჯ, მთლიანად პოსტსაბჭოთა პერიოდში, 25 წლის მანძილზე.

„ჩანაწერები“, უპირველეს ყოვლისა, ეხება არქიტექტურულ განათლებას, ბუნებრივია, საერთო საუნივერსიტეტო განათლების კონტექსტში. რაც შეეხება მოსაზრებას არანაკლებ მწვავე შიდა საუნივერსიტეტო - საფაკულტეტო პრობლემებზე, მას ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას გადავცემ.

ვახტანგ დავითაია:

რა ღირს ლეონარდო და ვინჩის ერთი საათი?

ახალი რეალობები

პოსტსაბჭოთა პერიოდში საქართველოში განათლების პრინციპები პერმანენტულად იცვლებოდა. რეფორმები ხორციელდებოდა ანალიზის, კვლევების გარეშე. ბოლო 25 წლის განმავლობაში განათლებისა და მეცნიერების 15 მინისტრი გამოიცვალა. ისინი, მცირე გამონაკლისის გარდა, პოლიტიკურმა პარტიამ „დასვა“ პოსტზე. უმეტესობას ამ ურთულესი დარგის წინამძღოლობის არავითარი წინაპირობა არ გააჩნდა. ყოველ მათგანს ჰქონდა ამბიცია, დაედგა „რეფორმატორის“ გვირგვინი, ახალი იწყებდა ძველის ნგრევით. ასე, ეტაპობრივად ჩამოყალიბდა ქაოსი და განუკითხაობა. რეფორმატული ინტენსივობა და საკადრო ცვლილებები განსაკუთრებით საგრძნობი იყო „ვარდების“ პერიოდში, რვა წლის მანძილზე შვიდი მინისტრი გამოიცვალა!

ამ წლებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ გვირგვინი, რამდენადაც საპატიოა, იმდენად ვერაგიც — თუ კუთვნილ თავზე არ არის დადგმული, ის უსათუოდ ჩამოცურდება კოჭამდე.

1. ფასიანმა სწავლებამ უნივერსიტეტები მთლიანად დამოკიდებული გახადა სტუდენტებზე („კლიენტებზე“), მათ გადასახადებზე და რაოდენობაზე. უნივერსიტეტები ცდილობენ, მიიზიდონ და შეინარჩუნონ კონტინგენტი, რაც გარკვეულწილად განსაზღვრავს „მასწავლებლის ქცევას“. ის ლიბერალი, ცალკეულ შემთხვევაში, დანაშაულებრივად ლიბერალი გახდა. ამას ემატება უმწიფარი კაპიტალიზმისთვის დამახასიათებელი, საბჭოთა პერიოდიდან გადმოყოლილი და ქართულ მენტალობასთან წილნაყარი რელობა, რომ **ახალგაზრდების არც თუ მცირე ნაწილისთვის უმთავრესია არა განათლების ხარისხი, არამედ დიპლომი, ზოგისთვის სწავლის საზღვარგარეთ გამგზავრებისთვის**.

2. კრიზისული შეიძლება ვუწოდოთ უნივერსიტეტების სამეცნიერო-პედაგოგიური პოტენციალის ამჟამინდელ მდგომარეობას. პერმანენტულმა რეფორმებმა და აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის წესმა, რომელიც პოლიტიკური კონიუნქტურისგან არ იყო თავისუფალი, განაპირობეს ღვაწლმოსილი პროფესურის ჩანაცვლება გამოუცდელი ახალგაზრდა კადრებით. მთელ რიგ სახელმწიფო უნივერსიტეტებში თაობათა ცვლის უფაქიზესი, მგრძნობიარე პროცესი წარიმართა დირექტიულ-ადმინისტრაციული წესით. მრავალი მაღალი კლასის პროფესორი იძულებული გახდა დაეტოვებინა უნივერსიტეტი ასაკის გამო. ეს ნაკლებად შეეხო საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს, სადაც პროცესი ბუნებრივი გზით წარიმართა. ასაკობრივი შეზღუდვა იყო დასაწყისი საკადრო კრიზისისა უმაღლესი განათლების სისტემაში. კერძო უნივერსიტეტების მოქნილობამ და მეტმა ფინანსურმა შესაძლებლობებმა გამოიწვიეს მაღალი კვალიფიკაციის კადრების გადინება კერძო უნივერსიტეტებში და რაც უმთავრესია:

შეწყდა პედაგოგიური კადრების, ცვლის, სისტემური მომზადების პროცესი, რაც კათედრების ერთ-ერთი უმთავრესი საქმიანობა იყო. უნივერსიტეტებმა და მასთან ერთად პროფესურამაც, თანდათანობით დაკარგეს ელიტარობა, პრესტიჟულიდან, განსაკუთრებულიდან იქცა რიგითად. საგრძნობი გახდა ბიზნესის, საბაზრო ეკონომიკის წესების პრიმატი მეცნიერებაზე, სულიერებაზე.

3. უნივერსიტეტებში მიღების განურჩევლობამ, სპეციფიკური ნიჭის, ტალანტის იგნორირება და ზოგადი უნარჩვევების პრიმატმა სწავლების ხარისხზე უარყოფითად იმოქმედა. ეს განსაკუთრებით საგრძნობია სახელოვნებო დარგებში.

4. „ნაციონალების“ ხელისუფლება ხაზგასმულ სიმპათიებს იჩენდა უცხოეთში განათლებამიღებულ სპეციალისტთა მიმართ, რეალურ მხარდაჭერას უწევდა მათ, რამაც პრობლემები შეუქმნა ეროვნულ უნივერსიტეტებს. ეს ტენდენცია დღესაც გრძელდება.

5. ორსაფეხურიანმა სწავლებამ (ბაკალავრიატი-მაგისტრატურა) პრინციპულად შეცვალა არქიტექტურის (არა მხოლოდ არქიტექტურის), როგორც პროფესიის მდგომარეობა. რეალურად არქიტექტურული კადრების გამოშვება მნიშვნელოვნად შემცირდა. პრაქტიკამ დაგვანახა, რომ მაგისტრატურაში ბაკალავრთა მხოლოდ 15-20% აგრძელებს სწავლას. საგულისხმოა ისიც, რომ მაგისტრატურაში სწავლას აგრძელებენ არა საუკეთესონი, არამედ, უპირატესად, ფინანსურად შეძლებულნი. საკუთარი პრაქტიკიდან შემიძლია დავასკვნა: მაგისტრატურადამთავრებულთა მხოლოდ 20-25% შეიძლება იყოს მაღალი კვალიფიკაციის, მოაზროვნე, შემოქმედი სპეციალისტი. **დღეს, ფაქტობრივად, არქიტექტურა, შესაბამისად არქიტექტურული ხარისხი, ბაკალავრთა, ანუ ტექნიკოსთა ხელშია. არ არსებობს სახელმწიფო კანონი, რომელიც დაარეგულირებს არქიტექტურული საქმიანობის საზღვრებს ცენზის შესაბამისად.**

„რეფორმა“ როგორც პანაცეა...

პოსტსაბჭოთა 25 წელი ყველგან და ყველაფერში, რეფორმატული აღტყინების პერიოდია, მათ შორის, განათლების სფეროშიც. ნებისმიერ დარგში რეფორმა არა თუ რადიკალური, ისეთი, როგორიც „ბოლონიის პროცესია“, არამედ არსებულის კორექტივიც უაღრესად მგრძნობიარეა, ზოგჯერ არაპროგნოზირებადი.

მოვიყვან ელემენტარულ მაგალითს. დავუშვათ, ფიფამ გადაწყვიტა მოედანზე გამოვიდეს არა 11-11 ფეხბურთელი, არამედ 12-12 ან 10-10. რა მოხდა, ერთი ფეხბურთელით მეტი ან ნაკლები? მაგრამ ეს „ერთი“ მთლიანად ცვლის თამაშის ტაქტიკას, სტრატეგიას, ბიუჯეტსაც კი, ვინაიდან სისტემა 11-ზეა აწყობილი და დახვეწილი. იქნებ ფეხბურთის კარები ასიმეტრიულად განვათავსოთ? შედეგი არაპროგნოზირებადია. ეს მარტივი მაგალითები მიანიშნებს რეფორმისადმი უაღრესად ფრთხილი დამოკიდებულების აუცილებლობას.

განათლების სისტემა ბუნებით ევოლუციურია. ის ვერ იტანს მკვეთრ რყევებს.

„ბოლონიის პროცესი“

„ბოლონიის პროცესი“ მწვანე შუქზე შემოიჭრა ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში. არავის უფიქრია მის ადაპტირებაზე ჩვენი პირობებისთვის. თითქოს არ გვქონოდა ასწლოვანი საუნივერსიტეტო გამოცდილება, თითქოს ქართულ უნივერსიტეტებში, საბჭოთა განათლების სისტემით, რომელიც ნასაზრდოები იყო მსოფლიოს გამოცდილებით, არ აღზრდილიყვნენ უდიდესი მეცნიერები, მოღვაწეები, პროფესიონალები.

„ბოლონიის პროცესიდან“ 15 წელი მიიწურა. ლოგიკურია, სამინისტროს, ასევე ამ სისტემით მომუშავე უნივერსიტეტებს, უნდა ჰქონდეთ ანალიზი, რა მივიღეთ. ასეთ ანალიზს მე არ ვიცნობ, შესაძლოა, ჩემამდე ვერ მოაღწია. ჩემი, როგორც 60 წლის პედაგოგიური გამოცდილების მქონე, მათ შორის უცხოეთის უმაღლეს სკოლებში ნამოღვაწარი და მსოფლიოს 20-მდე არქიტექტურული სკოლის სასწავლო-მეთოდოლოგიური პრინციპების მცოდნე პედაგოგის დასკვნა ასეთია:

„ბოლონიის პროცესმა“ ვერ გაუმჯობესა სასწავლო ხარისხი, სამაგიეროდ, უმაღლეს დონეზე აიყვანა ბიუროკრატია, აღრიცხვიანობა, ქაღალდომანია, გულალტერია, თვალთვალი, კონტროლი. ღმერთმა ქნას, რომ ვცდებოდე. ვაგლახ, ასე არ არის და ამას დაადასტურებს უმაღლესი სკოლის ყოველი პედაგოგი.

პროფესორი, განათლების უპირველესი იერარქი

განათლების სფეროს, მისი ემბრიონული პერიოდიდან დღემდე, უპირველესი იერარქი იყო, არის და იქნება მასწავლებელი, პროფესორი. განათლების სისტემის ფუნდამენტიც და პირამიდის მწვერვალიც — პროფესორია. ისაა პასუხისმგებელი ხარისხზე, შედეგზე, ახალგაზრდის სპეციალისტად, მოღვაწედ, მოქალაქედ ჩამოყალიბებაზე, ისევე როგორც მწვრთნელია უშუალო პასუხისმგებელი შედეგზე. დანარჩენი ყველა და ყველაფერი ამ შედეგის მიღწევის საშუალება, ხელსაწყოა. დღეს რეფორმებით თავმობეზრებულ და ბიუროკრატიით დამძიმებულ საქართველოში განათლების იერარქიული პირამიდა გადმოტრიალებულია, წვერზე დგას. პროფესორი აღმოჩნდა ყველაზე **დაბლა. საშუალებამ დაიმონა და დააბეჩავა მიზანი.**

სამინისტროს ბიუროკრატიის, რექტორატების მუდმივად მზარდი ახალი განყოფილებებით, დეკანატების, ასევე ახალ-ახალი ადმინისტრაციული სტრუქტურების ქვედა საფეხურზე იწყება უმთავრესი — სასწავლო პროცესი, წვრთნა, აუდიტორია, ლაბორატორია, სახელოსნო, პროფესორი. ადრე ამ საფეხურს კათედრა ეწოდებოდა, რომელიც რეფორმების პროცესს შეეწირა, ის ჯერ „მიმართულებად“, შემდეგ „მოდულად“ იქცა, დღეს ისიც არ არსებობს, მ.შ. სასწავლო პროცესის უშუალო წარმართველი რგოლი, რომელიც პასუხისმგებელი იყო მთლიანად სასწავლო პროცესზე, ხარისხზე, მეთოდიკაზე, დისციპლინაზე. ის ყოველდღიურობით და უშუალოდ იყო დაკავშირებული სასწავლო პროცესთან, თითოეულ სტუდენტთან, საერთოდ გაქრა ფაკულტეტების სტრუქტურიდან.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ გადაწყვეტილებებს ღებულობენ ადამიანები, რომელთაც ერთი დღეც არ უმოღვაწიათ უნივერსიტეტში.

კათედრა უმაღლესი განათლების კრისტალიზებული ფორმაა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო და მართვის სტრუქტურიდან კათედრების გაუქმება იყო გაუმართლებელი, დაუფიქრებელი, ვოლუნტარული გადაწყვეტილება. მე არ ვიცი, რა ხდება სხვაგან, შესაძლოა, კათედრები სადღაც არსებობენ, ვიცი ის, რომ სასწავლო-მეთოდოლოგიური, ორგანიზაციული და დისციპლინარული სირთულეები, რომლებიც დღეს სახეზეა, მნიშვნელოვნად კათედრების ლიკვიდაციითაა გამოწვეული. „დეპარტამენტებმა“, რომლებიც ხშირ შემთხვევაში, ერთმანეთისგან განსხვავებული კათედრების კონგლომერატია, ვერ ჩაანაცვლა „კათედრა“. გაუარესდა სასწავლო პროცესი და სასწავლო დისციპლინა.

კათედრები, უმაღლესი განათლების მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება და ტრადიციაა. ისინი წარმატებით წარმართავდნენ სასწავლო-მეთოდოლოგიურ, საკადრო და დისციპლინარულ საკითხებს. კათედრა იყო მართვადი სტრუქტურა, სადაც ყოველი მისი წევრი საკუთარ წილ პასუხისმგებლობას გრძნობდა.

დღეს სუბორდინაცია (ფუნქციები) იმდენად არეულია, რომ ძნელი ხდება გარკვევა იმისა, თუ ვის რა მოეკითხება.

კათედრების გაერთიანებას „დეპარტამენტებში“ ფინანსური ეფექტი არ მოჰყოლია, პირიქით, მან ახალ-ახალი საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო სტრუქტურები, ახალი შტატები და ხელფასები მოითხოვა, ხოლო პასუხისმგებლობა ზოგადი გახადა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ᲡᲐᲒᲣᲚᲘᲡᲧᲣᲠᲝ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ ᲐᲚᲑᲔᲠᲢ ᲐᲘᲜᲨᲢᲐᲘᲜᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲘᲗ

ᲪᲣᲓᲛᲔᲓᲘᲓᲝᲑᲘᲡ, ᲐᲛᲞᲐᲠᲢᲐᲕᲜᲝᲑᲘᲡ ᲙᲣᲗᲮᲔ

1936 ᲬᲚᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲡ ᲑᲔᲠᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲐᲛ ᲡᲐ�პᲐᲢᲘᲝ ᲓᲘ�პᲚᲝᲛᲘ �გᲐᲣᲒᲖᲐᲕᲜᲐ ᲐᲘᲜᲨᲢᲐᲘᲜᲡ. ᲓᲘ�პᲚᲝᲛᲘ ᲠᲝᲛ ᲛᲘᲘᲦᲝ, ᲐᲘᲜᲨᲢᲐᲘᲜᲛᲐ ᲐᲦᲤᲠᲗᲝᲕᲐᲜᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲬᲐᲛᲝᲘᲫᲐᲮᲐ: „ᲐᲛᲐᲡ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲩᲐᲠᲩᲝᲨᲘ ᲩᲐᲕᲡᲕᲐᲛ ᲓᲐ ᲙᲔᲓᲔᲚᲖᲔ ᲓᲐᲕᲙᲘᲓᲔᲑ. ᲘᲡᲘᲜᲘ ᲙᲐᲠ�გᲐ ᲮᲐᲜᲡ ᲓᲐᲛᲪᲘᲜᲝᲓᲜᲔᲜ ᲐᲛ ᲘᲓᲔᲔᲑᲘᲗᲐᲪ...“

ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ, ᲐᲘᲜᲨᲢᲐᲘᲜᲛᲐ ᲣᲐᲛᲠᲐᲕᲘ ᲓᲘ�პᲚᲝᲛᲘ ᲛᲘᲘᲦᲝ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲩᲐᲠᲩᲝᲨᲘ ᲐᲠ ᲩᲐᲣᲡᲕᲐᲛᲡ ᲓᲐ ᲙᲔᲓᲔᲚᲖᲔ ᲐᲠ ᲓᲐᲣᲙᲘᲓᲘᲐ, ᲡᲐᲓᲦᲐᲪ ᲗᲕᲐᲚᲛᲝᲤᲐᲠᲔᲑᲣᲚ ᲙᲣᲗᲮᲔᲨᲘ Ა�გᲠᲝᲕᲔᲑᲓᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ „ᲪᲣᲓᲛᲔᲓᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲙᲣᲗᲮᲔᲡ“ ᲣᲬᲝᲓᲔᲑᲓᲐ.

ᲐᲘᲜᲨᲢᲐᲘᲜᲘ ᲓᲐ ᲑᲔᲚ�გᲘᲘᲡ ᲓᲔᲓᲝᲤᲐᲚᲘ

ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲐᲘᲜᲨᲢᲐᲘᲜᲡ ᲑᲔᲓᲛᲐ �გᲐᲣᲦᲘᲛᲐ ᲓᲐ ᲑᲔᲚ�გᲘᲘᲡ ᲛᲔᲤᲘᲡ ᲐᲚᲑᲔᲠᲢᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡ ᲓᲐᲔᲡᲬᲠᲝ. ᲩᲐᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ�გ ᲛᲝᲧᲕᲐᲠᲣᲚᲗᲐ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ ᲛᲝᲔᲬᲧᲝ, ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲨᲘ ᲘᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲕᲐ ᲗᲕᲘᲗ ᲑᲔᲚ�გᲘᲘᲡ ᲓᲔᲓᲝᲤᲐᲚᲛᲐ. ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ ᲠᲝᲛ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲓᲐ, ᲐᲘᲜᲨᲢᲐᲘᲜᲘ ᲓᲔᲓᲝᲤᲐᲚᲗᲐᲜ ᲛᲘᲕᲘᲓᲐ ᲓᲐ ᲣᲗᲮᲠᲐ: „ᲗᲥᲕᲔᲜᲝ ᲣᲓᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲡᲝᲑᲐᲕ, ᲦᲛᲔᲠᲗᲛᲐᲜᲘ, ᲐᲠᲐᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲘᲧᲐᲕᲗ! ᲛᲘᲗᲮᲐᲠᲘᲗ, ᲔᲒ ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲐ ᲠᲘᲦᲐᲡᲗᲕᲘᲡ �გᲘᲜᲓᲐᲗ?“

ᲐᲘᲜᲨᲢᲐᲘᲜᲘ ᲓᲐ ᲑᲘᲝ�გᲠᲐᲤᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲘᲛᲘᲡᲘ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲐᲘᲜᲨᲢᲐᲘᲜᲘ ᲘᲨᲕᲘᲐᲗᲐᲓ ᲘᲬᲝᲜᲔᲑᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚ ᲑᲘᲝ�გᲠᲐᲤᲘᲔᲑᲡ. ᲘᲛ ᲑᲘᲝ�გᲠᲐᲤᲘᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚ ᲬᲘᲜᲐᲡᲘᲢᲧᲕᲐᲝᲑᲐᲨᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲑᲘᲝ�გᲠᲐᲤᲘᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲪ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘᲡ ᲡᲘᲫᲔ ᲘᲧᲝ, ᲐᲘᲜᲨᲢᲐᲘᲜᲛᲐ ᲓᲐᲬᲔᲠᲐ: „ᲨᲔᲕᲐᲛᲩᲜᲘᲔ, ᲠᲝᲛ ᲤᲐᲥᲧᲝᲤᲐ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲨᲔᲜᲘ ᲒᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲥᲣᲠᲐᲨᲘ“.

ᲐᲘᲜᲨᲢᲐᲘᲜᲘ ᲡᲢᲣᲛᲠᲐᲓ ᲙᲘᲣᲠᲔᲑᲗᲐᲜ

ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲪᲝᲚ-ᲥᲛᲐᲠ ᲙᲘᲣᲠᲔᲑᲗᲐᲜ ᲡᲢᲣᲛᲠᲝᲑᲘᲡᲐᲡ ᲐᲘᲜᲨᲢᲐᲘᲜᲛᲐ ᲨᲔᲐᲛᲩᲜᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲔᲖᲝᲑᲔᲚ ᲡᲐᲕᲐᲠᲫᲔᲚᲨᲘ ᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲐᲠ ᲘᲯᲓᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲐᲞᲘᲠᲔᲑᲓᲐ ᲩᲐᲯᲓᲝᲛᲐᲡ. ᲐᲘᲜᲨᲢᲐᲘᲜᲛᲐ ᲛᲐᲡᲠᲘᲜᲫᲔᲚ ᲟᲝᲚᲘᲝ-ᲙᲘᲣᲠᲘᲡ ᲡᲗᲮᲝᲕᲐ: „ᲛᲝᲛᲘᲯᲔᲥᲘᲗ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗ, ᲤᲠᲔᲓᲔᲠᲘᲙ! ᲗᲝᲠᲔᲛ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲨᲗᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲔᲑᲐ ᲛᲠᲩᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲞᲠᲣᲡᲘᲣᲚ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ Ა�კᲐᲓᲔᲛᲘᲐᲨᲘ ᲡᲮᲓᲝᲛᲐᲖᲔ ᲕᲐᲠᲗ“.

ᲐᲘᲜᲨᲢᲐᲘᲜᲘᲡ ᲛᲔᲣᲦᲚᲔ

ᲐᲚᲑᲔᲠᲢ ᲐᲘᲜᲨᲢᲐᲘᲜᲘᲡ ᲪᲝᲚᲡ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲰᲙᲘᲗᲮᲔᲡ:

— ᲗᲥᲕᲔᲜ ᲘᲪᲜᲝᲑᲗ ᲐᲚᲑᲔᲠᲢ ᲐᲘᲜᲨᲢᲐᲘᲜᲘᲡ ᲗᲔᲝᲠᲘᲐᲡ?

— ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲐᲠᲐ, — ᲛᲘᲣ�გᲝ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘᲡ ᲛᲔᲣᲦᲚᲔᲛ. — ᲡᲐᲛᲐ�გᲘᲔᲠᲝᲓ, ᲩᲔᲛᲖᲔ ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲐᲓ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ ᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲐᲠ ᲘᲪᲜᲝᲑᲡ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲐᲘᲜᲨᲢᲐᲘᲜᲡ.

ᲠᲐᲢᲝᲛ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲐᲘᲜᲨᲢᲐᲘᲜᲘ ᲤᲘᲖᲘᲙᲝᲡᲘ

ᲓᲦᲔ ᲐᲠ ᲘᲧᲝ, ᲠᲝᲛ ᲐᲘᲜᲨᲢᲐᲘᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠ ᲔᲙᲘᲗᲮᲐᲗ ᲠᲐᲢᲝᲛ �გᲐᲮᲓᲘᲗ ᲤᲘᲖᲘᲙᲝᲡᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲗᲔᲛᲐᲢᲘᲙᲝᲡᲘᲝᲠ. ᲐᲛ ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲘᲗ ᲨᲔᲦᲠᲝᲜᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲛᲐ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲐ: „ᲘᲛᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ, თუ რამდენადმე უგულებელვყავი მათემატიკა, მარტო ის კი არ ყოფილა, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მიზნები ბევრად ეჭარბება მათემატიკურ მიზნებს, არამედ შემდეგი თავისებური გრძნობაც იყო. ცხადად ვხედავდი, რომ მათემატიკა იყოფა უამრავ სპეციალურ დარგად და თითოეულ ამ დარგს შეუძლია მთელი ჩვენი ცხოვრების დაკავება. თავი ეგრევე ბურიდანის სახედრის მდგომაროებაში წარმოვიდგინე, რომელსაც ვერ გადაუწყვეტია ორი თივის ზვინიდან რომელი რომელს ამჯობინოს. ჩემი ინტუიცია, ალღო მათემატიკის დარგში ვერ იყო საკმარისად ძლიერი... ამის საპირწონედ ფიზიკაში მალავე ვისწავლე იმის გამოძებნა, რასაც შეეძლო საგანში ჩემი ჩაღრმავება და ყოველივე დანარჩენის უკუგდება, დანარჩენში კი იმას ვგულისხმობ, რაც ზედმეტად ტვირთავს გონებას და არსებითის მიმართ ყურადღებას გვიფანტავს.

ᲐᲘᲜᲨᲢᲐᲘᲜᲘ ᲓᲐ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲪᲜᲝᲑᲘ

ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲐᲘᲜᲨᲢᲐᲘᲜᲘ ᲓᲐᲤᲘᲥᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲘᲣᲧᲕᲔᲑᲝᲓᲐ ᲥᲣᲩᲐᲡ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲫᲕᲔᲚ ᲜᲐᲪᲜᲝᲑᲡ ᲨᲔᲮᲕᲓᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲨᲘᲜ ᲡᲢᲣᲛᲠᲐᲓ ᲛᲘᲘᲬᲕᲘᲐ:

„ᲘᲥᲜᲔᲑ ᲛᲝᲑᲠᲫᲐᲜᲓᲔᲗ ᲓᲦᲔᲡ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡ ᲩᲔᲛᲗᲐᲜ, ᲡᲢᲣᲛᲠᲐᲓ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲡᲢᲘᲛᲝᲜᲡᲘ ᲛᲔᲧᲝᲚᲔᲑᲐ“.

ᲜᲐᲪᲜᲝᲑᲘ ᲡᲐᲮᲢᲐᲓ ᲓᲐᲠᲩᲐ:

„ᲘᲡ ᲡᲢᲘᲛᲝᲜᲡᲘ ᲮᲝᲛ ᲛᲔ ᲕᲐᲠ!“

ᲐᲘᲜᲨᲢᲐᲘᲜᲘ ᲐᲠᲪ ᲨᲔᲪᲑᲣᲜᲔᲑᲣᲚᲐ:

„ᲛᲐ�გᲐᲡ ᲠᲐ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲐᲥᲕᲡ, ᲗᲥᲕᲔᲜ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲛᲝᲑᲠᲫᲐᲜᲓᲘᲗ“.

ᲐᲘᲜᲨᲢᲐᲘᲜᲘ ᲓᲐ ᲙᲝᲛ�პᲝᲖᲘᲢᲝᲠᲘ ᲔᲘᲡᲚᲔᲠᲘ

ᲐᲘᲜᲨᲢᲐᲘᲜᲘ ᲓᲐ ᲙᲝᲛ�პᲝᲖᲘᲢᲝᲠᲘ ᲰᲐᲜᲡ ᲔᲘᲡᲚᲔᲠᲘ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲛᲝᲮᲕᲓᲜᲔᲜ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗ ᲙᲝᲛ�პᲐᲜᲘᲐᲨᲘ. ᲧᲕᲔᲚᲐᲛ ᲘᲪᲝᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲘᲜᲨᲢᲐᲘᲜᲘ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲐᲓ ᲣᲙᲠᲐᲕᲓᲐ ᲕᲘᲝᲚᲘᲜᲝᲖᲔ ᲓᲐ ᲡᲗᲮᲝᲕᲔᲡ, ᲘᲥᲜᲔᲑ ᲔᲘᲡᲚᲔᲠᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲓᲐᲣᲙᲠᲐᲗᲝᲗ. ᲙᲝᲛ�პᲝᲖᲘᲢᲝᲠᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲔᲗᲐᲜᲮᲛᲐ. ᲐᲘᲜᲨᲢᲐᲘᲜᲛᲐ ᲐᲐᲬᲧᲝ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲕᲘᲝᲚᲘᲜᲝ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲠᲐᲢᲝᲛᲪᲐᲓᲐᲪ ᲕᲔᲠ ᲘᲛᲐᲠᲯᲕᲐ, ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲐᲠ �გᲐᲛᲝᲣᲕᲘᲓᲐ. ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲯᲔᲠᲐᲪ ᲔᲘᲡᲚᲔᲠᲛᲐ ᲨᲔᲡᲐᲕᲚᲘᲡ ᲓᲐᲙᲕᲠᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ, ᲐᲘᲜᲨᲢᲐᲘᲜᲘ

„ᲘᲡ ᲡᲢᲘᲛᲝᲜᲡᲘ ᲮᲝᲛ ᲛᲔ ᲕᲐᲠ!“

ᲐᲘᲜᲨᲢᲐᲘᲜᲘ ᲐᲠᲪ ᲨᲔᲪᲑᲣᲜᲔᲑᲣᲚᲐ:

„ᲛᲐ�გᲐᲡ ᲠᲐ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲐᲥᲕᲡ, ᲗᲥᲕᲔᲜ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲛᲝᲑᲠᲫᲐᲜᲓᲘᲗ“.

ᲐᲘᲜᲨᲢᲐᲘᲜᲘ ᲓᲐ ᲒᲠᲘ�გᲝᲠᲘ ᲞᲘᲐᲢᲘ�გᲝᲠᲡᲙᲘ

ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ალბერტ აინშტაინი და ვიოლონჩელისტი გრიგორი პიატიგორსკი ერთად მონაწილეობდნენ საქველმოქმედო კონცერტში. მსმენელთა შორის დარბაზში მავანი ახალგაზრდა ჟურნალისტიც იყო, რომელსაც თავისი გაზეთისთვის კონცერტის ანგარიში უნდა დაეწერა. მან ერთ-ერთ დამსწრეს — შეკითხვით მიმართა:

— მაპატიეთ, პიატიგორსკის ყველანი კარგად ვიცნობთ, ეს აინშტაინი კი, დღეს რომ გამოვიდა...

— ღმერთო, შენ მიშველე, ნუთუ მართლა არ იცნობთ დიდ აინშტაინს!

— დიახ, რასაკვირველია, გმადლობთ, — სახეზე წამოწითლდა ჟურნალისტი და რაღაცის ჩაწერა დაიწყო ბლოკნოტში.

მეორე დილით გაზეთში გამოქვეყნდა აინშტაინთან ერთად პიატიგორსკის გამოსვლის ანგარიში, სადაც ეწერა, რომ აინშტაინმა, როგორც დიდმა და შეუდარებელმა მუსიკოსმა, უბადლო მევიოლინე ვირტუოზმა, თავისი განსაცვიფრებელი დაკვრით თვით პიატიგორსკიც კი დაჩრილა. ამ რეცენზიამ ყველანი გულიანად გააცინა, მეტადრე ალბერტ აინშტაინი. მან ამოჭრა გაზეთიდან ეს ანგარიში და დიდხანს ჯიბით დაჰქონდა, ხან ვის აჩვენებდა და ხან ვის, თანაც ეუბნებოდა:

— თქვენ რა, მართლა მეცნიერად მიგაჩნივართ? არა, გენაცვალე, მე ვირტუოზი მევიოლინე ვარ, კარგად დაიხსომეთ!

ᲞᲠᲔᲛᲘᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲑᲐ

1939 ᲬᲚᲘᲡ ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲨᲘ ჟენევის უნივერსიტეტმა ას კაცზე მეტს მიანიჭა საპატიო დოქტორის ხარისხი. ერთ-ერთი იმ მეცნიერთა შორის ალბერტ აინშტაინიც იყო.

როცა აინშტაინმა დიდი კონვერტი მიიღო, რომელშიც ქაღალდის ფურცელი იდო, კოლორიტული ტექსტით გაუგებარ ენაზე შევსებული. მან იფიქრა, რომ ლათინური იყო, თანაც პრემიის მიმღებლად ტიშტეინი ეწერა, და აინშტაინმა ის ქაღალდი ეგრევე ნაგვის კალათაში ჩააგდო.

რამდენიმე ხნის შემდეგ მან შეიტყო, რომ ეს მიპატიჟება იყო. კალვინის დღესასწაულზე იწვევდნენ, იქვე ისიც ეწერა, რომ აინშტაინისთვის ჟენევის უნივერსიტეტს საპატიო დოქტორის ხარისხი მიენიჭებინა.

ვინაიდან აინშტაინმა მიპატიჟებაზე დროით არ უპასუხა, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ მეცნიერის მეგობარს მიმართა, ლუსიენ შავანს, რომელმაც ბოლოს და ბოლოს მაინც დაარწმუნა აინშტაინი, რომ ჟენევას სწვეოდა. ჟენევაში ჩასულ აინშტაინს შლაპა ეხურა და ყოველდღიურად სახმარი პიჯაკი ეცვა, რომელპიჯაკიანიც მონაწილეობდა აკადემიურ პროცესებში.

აი, რას ამბობდა შემდეგ ალბერტ აინშტაინი ამ შემთხვევის გამო:

„დღესასწაული დასრულდა ისეთი უხვი ნადიმით, რომლის მსგავსიც ადრე არცროდის მინახავს. მე გამოველაპარაკე ჟენევის „ქალაქის მამათაგან“ ერთ-ერთს, როიალის გვერდითაც ვიჯექი: „იცით თუ არა, რას იზამდა კალვინი, აქ თუ იქნებოდა?“ მეზობელი დაგულისყურდა — მაინც რას იზამდაო.

და, ცოტა არ იყოს, გაბრაზებულმა ვუპასუხე: „ისეთ ხანძარს გააჩენდა, რომ ყველანი დავიბუგებოდით ჩვენი ამ მუცელღმერთობით ცოდვილნი!“

ჩემს თანამოსაუბრეს კრინტი არ დაუძრავს და აქ მთავრდება ჩემი მოგონებები იმ „დიდებულ დღესასწაულობაზე“...

(ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲛᲝᲠᲘᲒ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ)

ᲐᲡᲔ ᲐᲛᲑᲝᲑᲓᲐ ᲐᲚᲑᲔᲠᲢ ᲐᲘᲜᲨᲢᲐᲘᲜᲘ



ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲢᲔᲥᲡᲢᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲐᲓ ᲒᲐᲓᲛᲝᲐᲔᲜᲐ ᲒᲣᲠᲐᲛ ᲒᲝᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ

ᲡᲐᲙᲛᲐᲠᲘᲡᲘᲐ ᲤᲐᲜᲥᲠᲘᲡ ᲜᲐᲚᲔᲕᲘ



ალბერტ აინშტაინს ხელში რაც მოხვდებოდა, ყველაფერზე რაღაცას იწერდა. ერთხელ ცოლთან ერთად ახალი ასტრონომიული ტელესკოპის გახსნაზე მიიწვიეს. გახსნის შემდეგ პატარა ექსკურსია მოეწყო. გიდმა, რომელიც ცოლ-ქმარს ახლდა, ტელესკოპისკენ თითგაშვერილმა უთხრა: „სწორედ ამ ხელსაწყოს დახმარებით ვიკვლევთ დღეს სამყაროს საიდუმლოებებს. ამის პასუხად აინშტაინის მეუღლემ უმალ შენიშნა:

— ძალიან უცნაურია, ჩემი ქმრისთვის ფანქრის ნალევ და ქაღალდის პატარა ნაგლეჯიც საკმარისია ამისთვის...

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ. ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲘᲮ. №14-22, 25

ᲐᲠᲘᲗᲛᲔᲢᲘᲙᲐ ᲘᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗ, ᲑᲐᲑᲣ!

ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲐᲘᲜᲨᲢᲐᲘᲜᲘ ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘᲡ ᲢᲠᲐᲛᲕᲐᲘᲗ ᲛᲘᲓᲘᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲛᲔᲑᲠ ᲬᲘ�გᲜᲡ ᲙᲘᲗᲮᲣᲚᲝᲑᲓᲐ. ᲛᲔᲠᲔ, ᲙᲝᲜᲓᲣᲥᲢᲝᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲪ ᲨᲔᲣᲮᲔᲓᲐᲕᲡ, ᲘᲡᲔ ᲐᲛᲝᲘᲦᲝ ᲯᲘᲑᲘᲓᲐᲜ ᲑᲘᲚᲔᲗᲘᲡ ᲐᲡᲐᲦᲔᲑᲐᲓ ᲬᲘᲜᲐᲡ�წᲐᲠ �გᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲣᲚᲘ.

— ᲑᲝᲓᲘᲨᲘ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲡᲐᲙᲛᲐᲠᲘᲡᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ, — ᲣᲗᲮᲠᲐ �კᲝᲜᲓᲣᲥᲢᲝᲠᲛᲐ.

— ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ, — ᲛᲘᲣ�გᲝ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲛᲐ ᲬᲘ�გᲜᲘᲡ�გᲐᲜ ᲗᲕᲐᲚᲛᲝᲣᲨᲝᲠᲔᲑᲚᲐᲓ.

— ᲒᲔᲣᲑᲜᲔᲑᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲐᲙᲚᲘᲐ-ᲛᲔᲗᲔᲥᲘ, — ᲗᲐᲕᲘᲡᲖᲔ ᲘᲓᲒᲐ �კᲝᲜᲓᲣᲥᲢᲝᲠᲘ.

ᲐᲘᲜᲨᲢᲐᲘᲜᲛᲐ ᲘᲡᲔᲕ ᲒᲐᲐᲥᲜᲘᲐ ᲗᲐᲕᲘ ᲘᲛᲘᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲓ, ᲠᲝᲛ ᲑᲘᲚᲔᲗᲘᲡ ᲤᲣᲚᲡᲚ ᲐᲠᲪᲠᲐ ᲐᲙᲚᲓᲐ.

ᲙᲝᲜᲓᲣᲥᲢᲝᲠᲘ ᲐᲦᲨᲤᲝᲗᲓᲐ:

— ᲛᲐᲨ, ᲗᲥᲕᲔᲜ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲓᲐᲗᲕᲐᲚᲔᲗ, ᲐᲘ 15 ᲤᲔᲜᲘᲜᲒᲘ.

ᲐᲘᲜᲨᲢᲐᲘᲜᲛᲐ ᲯᲘᲑᲔ ᲛᲝᲘᲥᲔᲥᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲛᲝᲜᲔᲢᲐ ᲘᲞᲝᲕᲐ.

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲛᲐ ᲣᲙᲘᲓᲣᲠᲔᲡᲘ ᲣᲮᲔᲠᲮᲣᲚᲝᲑᲐ Ი�გᲠᲫᲜᲝ, ᲙᲝᲜᲓᲣᲥᲢᲝᲠᲛᲐ ᲙᲘ �გᲐᲦᲘᲛᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲣᲗᲮᲠᲐ:

— ᲐᲠᲐ ᲣᲨᲐᲕᲡ ᲠᲐ, ᲑᲐᲑᲣ, ᲣᲑᲠᲐᲚᲝᲓ ᲐᲠᲘᲗᲛᲔᲢᲘᲙᲘᲡ ᲪᲝᲓᲜᲐᲐ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ.

ᲔᲠᲘᲓᲔᲗ ᲣᲪᲝᲓᲘᲜᲐᲠ ᲔᲥᲘᲛᲔᲑᲡ!

2017 ᲬᲚᲘᲡ 21 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ, ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ“ ᲓᲐᲘᲑᲭᲓᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲡᲐᲗᲐᲣᲠᲘᲗ „ᲔᲠᲘᲓᲔᲗ ᲣᲪᲝᲓᲘᲜᲐᲠ ᲔᲥᲘᲛᲔᲑᲡ“. ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲔᲮᲔᲑᲝᲓᲐ ᲨᲞᲡ „ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡ Ნ. ᲧᲘᲤᲨᲘᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲡᲐᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲝ ᲙᲚᲘᲜᲘᲙᲐᲨᲘ“ (ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝ ᲕᲐᲟᲐ-ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲐᲖᲔ) ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠ ᲢᲠᲐᲒᲔᲓᲘᲐᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲓᲐᲐᲢᲧᲓᲐ ᲗᲐᲕᲡ ᲩᲔᲛᲡ ᲝᲯᲐᲮᲡ ᲣᲪᲝᲓᲘᲜᲐᲠᲘ, ᲣᲒᲣᲚᲝ ᲔᲥᲘᲛᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ.

მათ შემთხვევით ხელში ჩაუვარდათ 2017 წლის 24 მაისს საღამოს, „სასწრაფოს“ მანქანით მიყვანილი, ასაკთან შედარებით ჯანმრთელი პენსიონერი კაცი ჯემალ ქარაზანიშვილი, რომელსაც სახლში მუცელი ასტკივდა. მას მანამდე არასოდეს ასტკივნია მუცელი და ნაღვლის ბუშტი. ამას მოწმობს პენსიონერ ჯ. ქარაზანიშვილის სამედიცინო გამოკვლევები პავლოვის №14 ბ-ში მდებარე კლინიკა „ჯანმრთელობის ცენტრში“. ბოლო, 2017 წლის 6 თებერვლის გამოკვლევის მიხედვით (ექოსკოპისტი, მედიცინის დოქტორი ხათუნა ხომასურიძე), ნაღვლის ბუშტი 0,6 მმ კენჭი ჰქონდა. აღნიშნული საავადმყოფოს სასწრაფომ კი ჯ. ქარაზანიშვილს სასწრაფოდ დაუდგინა დიაგნოზი: მწვავე პერიტონიტი, მწვავე დესტრუქციული ქოლესტიტი. ეს დაუჯერებელი იყო, ვინ იცის, შემოწმდა კი პაციენტი ჯ. ქარაზანიშვილი სერიოზულად? თუ მხოლოდ ნაჩქარევად, ზედაპირულად, რათა სასწრაფოთი მიყვანილი პაციენტი, განსაკუთრებით კი პენსიონერი, აუცილებლად გაჭრან, რათა დაზღვევის ფული გადაახდევინონ.

ასეც მოიქცნენ, შემთხვევა ხელიდან არ გაუშვეს აღნიშნული საავადმყოფოს მორიგე ქირურგებმა ზვიად ძნელაძემ და კაკო ბუბულაშვილმა მათ გვითხრეს სასწრაფო ოპერაციაა საჭიროო და მათ იმავე ღამით 2017 წლის 24 მაისს პაციენტ ჯემალ ქარაზანიშვილს გაუკეთეს ნაღვლის ბუშტის სასწრაფო ოპერაცია გაჭრით (ლაპარატომია, „სასწრაფოს“ დიაგნოზით). ოპერაციის საფასური 245 ლარი პენსიონერ პაციენტს გადაახდევინეს მეორე დღესვე (სალაროს შემოსავლის ორდერი №1504).

ოპერაციიდან ოთხი დღის შემდეგ ისე გამოწერეს პალატიდან პაციენტი ჯ. ქარაზანიშვილი, რომ მისი გული და ფილტვები არავის შეუმოწმებია. პალატაში პაციენტს უჭირდა სუნთქვა, პულსი 105, 110 ჰქონდა, ტემპერატურა 37, 37,5, 38.0. მას პალატაში უკეთდებოდა სისხლის გამათხელებელი ფაქსიპარინი. როცა ჯ. ქარაზანიშვილი გამოწერა ქირურგმა ზ. ძნელაძემ, მას მოუხსნა სისხლის გამათხელებელი და დაუნიშნა კუჭის გაღიზიანების საწინააღმდეგო ნექსიუმი 40 მგ-იანი და ანტიბიოტიკი ორციანეიპოლი. ქირურგებს ზ. ძნელაძეს და კ. ბუბულაშვილს რომ ვეუბნებოდი, ჯემალს სუნთქვა უჭირს-მეთქი, ახალი ნაოპერაციევია და გაუვლისო, მპასუხობდნენ.

სახლში უფრო მეტად უჭირდა სუნთქვა, პულსი ისევ მაღალი ჰქონდა. და როცა 1 ივნისს ჭრილობის შესახევვის გამოცვლაზე მივედით აღნიშნულ საავადმყოფოში, გვინდოდა, გვენახა კარდიოლოგი, რათა ჯემალი გაესინჯა. კორიდორში შემთხვევით შეგვხვდა ჯ. ქარაზანიშვილის ბიძაშვილი ალერგოლოგი, აკადემიური დოქტორი მურმან კიკვიძე, ჯემალს არ უთხოვია მისთვის გამსინჯეო. მ. კიკვიძემ შეიყვანა ჯემალი კაბინეტში გაუსინჯა ფილტვები ფონენდოსკოპით და დაიმედა, „ფილტვები კარგიაო“. მე ვუთხარი, ვერ სუნთქავს, პულსი მაღალი აქვს, სიცხესაც აძლევს-მეთქი. რა, მოკვდებაო? — შემომიყვირა აკადემიურმა დოქტორმა მ. კიკვიძემ. მე ახლა პულსის დამწევს გამოვუწერო და გამოუწერა რეცეპტი: პულსის დამწევი ვეროდენკი 240 მგ-იანი და წნევის დამწევი ლორისტა 25 მგ-იანი. ეს წამლები დალიე, პულსი ქვემოთ დაიწევს და კარგად იქნებიო. ასეთი იმედი მოგვცა ბიძაშვილმა მ. კიკვიძემ, დააჯერა და შეცდომაში შეიყვანა ჯემალი. მეორე დღეს, 2017 წლის 2 ივლისს, ძალზე ცუდად გახდა სახლში ჯემალი, ვერ სუნთქავდა. ისევ დავუძახეთ სასწრაფოს და ისევ იმავე საავადმყოფოში მივედით. რა ვიცოდით, რომ თურმე უარესი გველოდა. საავადმყოფოს სასწრაფოში იგივე მორიგე ქირურგი ზვიადი ძნელაძე დაგვხვდა, რომელმაც „გაგვახარა ახალი დიაგნოზით: ფილტვების არტერიების თრომბოზული ემბოლია, რომელიც გაუჩნდა ფილტვებში პაციენტ ჯ. ქარაზანიშვილს, ნაღვლის ბუშტის სასწრაფო ოპერაციის შემდეგ, ექიმების უცოდინარობით.

„მცოდნე“ ქირურგმა ზ. ძნელაძემ თან დააყოლა, ამ ოპერაციაზე ასე იცისო. თუ ასე იცის, წინასწარ ზომები რატომ არ მიიღეთ, რათა ეს უბედურება თავიდან აგეცილებინათ ჩვენთვის-მეთქი. პასუხი იყო: ახლა რეანიმაციაში დააწვენენ და იქ უმკურნალებენო. რეანიმაციაში კი დააწვინეს უკვე ძალიან მძიმე ავადმყოფი, მაგრამ ვინ გააჩერა, რომ ემკურნალათ — მეოთხე დღეს დილით 2017 წლის 6 ივნისს, კარდეოლოგიური დეპარტამენტის უფროსმა, დოქტორმა მამუკა ქობალავამ თვითონ გადაწყვიტა, გაეყვანა უმძიმესი ავადმყოფი ჯ. ქარაზანიშვილი რეანიმაციიდან პალატაში. რატომ? რეანიმაციაში მომაკვდავი ავადამყოფია და

წუხდება ჯ. ქარაზანიშვილი, თვითონ მთხოვაო, დააბრალა ჯემალის. ავადმყოფს რომ ეთხოვა ქუჩაში გამიყვანეო, გაიყვანდა დოქტორი? შევეხვეწე, ნუ იზამ მაგას, ჯემალი ძალიან მძიმე ავადმყოფია-მეთქი, ვინ შეისმინა ჩემი თხოვნა, გაბრძანდით გარეთო, მითხრეს. მე ვიცი, რაც უნდა გავაკეთოთო და გააკეთა კიდეც: იმავე დღეს 2017 წლის 6 ივნისს, საღამოს 5 საათის შემდეგ, როცა შიგნით შემიშვეს, ჯემალი ძალიან ცუდ მდგომარეობაში დამხვდა. ის ისევ დაებრუნებინათ რეანიმაციაში. აბა რა მოუვიდოდა, უმძიმესი ავადმყოფი, რომელიც შეერთებული იყო აპარატზე და ყველაფერი ერთად უმოწმდებოდა, სამი დღის რეანიმაციაში ყოფნის შემდეგ დაერღვა რეჟიმი, დოქტორ მამუკა ქობალავას ნება-სურვილის გამო.

ჯ. ᲥᲐᲠᲐᲖᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ქობალავა რეანიმაციაში აღარ დამხვედრია, მას აღარც უკითხავს ჯ. ქარაზანიშვილის მდგომარეობა.

რა მოხდა შემდეგ, მან რომ ასეთი დანაშაული ჩაიდინა — უმძიმესი ავადმყოფი რეანიმაციიდან გაიყვანა? რეანიმაციაში 2017 წლის 6 ივნისს დამხვდა მორიგე ექიმი ანი ჭიპაშვილი, რომელმაც თავის მორიგე ექთან კაცთან ერთად „უკეთესი“ რამ მოიფიქრა. ჟანგბადის სასუნთქი „ჩაშკა“, რომელიც ცხვირ-პირზე ჰქონდა დამხობილი ჯემალის, რითაც ჟანგბადის მილებით სუნთქავდა, ბინტით შემოახვიეს თავზე და ცხვირ-პირზე მჭიდროდ ჩემს თვალწინ. რას შვებით, როგორღა უნდა ამოისუნთქოს, არ დაახრჩოთ-მეთქი, ტირილით ვეხვეწებოდი. მათ კი კორიდორში გამომაგდეს, სადაც ძირს დავვარდი და მოვთქვამდი, არ დაახრჩოთ, რას შვებით-მეთქი, არავინ მოსულა ახლოს, არავინ მომშველებია, არც მე და არც ჯემალს და ასეც დამთავრდა: იმავე ღამეს გამოასალმეს წუთისოფელს ჯემალ ქარაზანიშვილი.

აი, ასე: „ტიტულოვანი“ საავადმყოფოს, ზემოთ ჩამოთვლილმა „ტიტულოვანმა, მცოდნე ექიმებმა“, ყველამ თავისი „ცოდნითა და გამოცდილებით“ მუცლის ტკივილით მიყვანილ კაცს ისეთი „სამედიცინო დახმარება“ გაუწიეს, რომ სამუდამოდ დაახუჭინეს თვალები. რაღა საჭიროა პენსიონრები, რატომ უნდა დაიხარჯოს მათზე პენსია, არა? და შემდეგ, ამ ტრაგედიის ჩამდენმა „გამოცდილმა ექიმებმა“, აღნიშნულ საავადმყოფოში ქ. ქარაზანიშვილის სულ შვიდი დღის ყოფნის სამედიცინო ისტორიის ორი ათასი ყალბი ფურცელი შეჰქმნეს. მათ ხომ ამ საქმეში დიდი გამოცდილება აქვთ. ისიც ხომ ყველამ კარგად იცის, რომ ყოველთვის ყველა ცოდვას იმ ქვეყნად წასულ ადამიანს აჰკიდებენ ხოლმე, ემანდ ყურებზე ხახვი არავინ დააჭრას მათ!

ასე დამენგრა ოჯახი, დავრჩი მარტოდმარტო, დამწუხრებული, თავზარდაცემული. ასე მოულოდნელად დაგვატყდა თავს ტრაგედია. შემდეგ, მოგვიანებით ვითომ ძალა მოვიკრიბე და საშველად სამართალს მივმართე, საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს. მივმართე წერილობითი თხოვნით 2017 წლის 21 ივლისს, 26 ივლისს, 7 სექტემბერს. ვითხოვდი ბატონ მინისტრთან შეხვედრას, რას ამბობთ, ეს როგორ შეიძლებოდა, ვის სცალიაო. მივმართე ამავე სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სააგენტოს უფროსს, ბატონ გია თვალავაძეს. 2017 წლის 8 სექტემბერს მომწერე,ს რომ ჯ. ქარაზანიშვილისთვის შპს „აკადემიკოს ნ. ყიფშიძის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკაში გაწეული სამედიცინო დახმარების საკითხის შესწავლა დაწყებულიაო“. „სამედიცინო დახმარების“ საკითხი? ვაი, სირცხვილო, უბედურებავ, ეს იყო „სამედიცინო დახმარება“? კაცი მოკლეს.! ჩემი დაჟინებული თხოვნით ჯანმრთელობის სამინისტრომ ძლივს გამოითხოვა პავლოვის ქ. №14 ბ-ში კლინიკა „ჯანმრთელობის ცენტრიდან“ ჯემალ ქარაზანიშვილის, როგორც პენსიონერის სამედიცინო ისტორია. არ აწყობდათ, რადგან კლინიკაში ჩატარებული გამოკვლევების მიხედვით, პენსიონერი ჯ. ქარაზანიშვილი ასაკთან შედარებით ჯანმრთელი კაცი იყო. და საერთოდაც, ჯემალი არასოდეს ავადმყოფობდა, გრიპი თუ შეხვედრია.

მოგვიანებით თხოვნა-განცხადებით მივმართე და რაც ხელთ მქონდა ჯ. ქარაზანიშვილის ტრაგიკული ისტორიის შესახებ, დოკუმენტაციით მივმართე საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს, ბატონ აკაკი ზოიძეს. ბატონმა ა. ზოიძემ ოფიციალურად მისწერა ბატონ გიორგი თვალავაძეს: ჩემი განცხადება-თხოვნის შესახებ: „გთხოვთ, განიხილოთ ზემოაღნიშნული განცხადება და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ აცნობეთ კომიტეტს, ასევე განმცხადებელს“. სამართალისთვის ასევე მივმართე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეს, ქალბატონ ირმა ინაშვილს. ქალბატონმა ირმა ინაშვილმა ოფიციალურად მიმართა საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრს, ბატონ დავით სერგეენკოს ჩემი განცხადების შესახებ: „გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სამსახურს, გამოიკვლიონ განცხადებაში მოყვანილი ფაქტები და მიიღონ კანონით გათვალისწინებული ზომები. პასუხი გვაცნობეთ წერილობით და აცნობეთ განმცხადებელს“.

ამ ტრაგედიიდან უკვე რვა თვე გავიდა. ეს მე ვითვლი დღეებს, თორემ სხვა ვინ? და აი, ასე: ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო 2017 წლის 21 ივლისის შემდეგ, ჩემს განცხადებაში მოყვანილ ნამდვილ ფაქტებს სწავლობს და ჯერაც ვერ შეისწავლა (წერე და იკითხეს ქართული ვარიანტი).

ჩვენს ქვეყანაში ალბათ არ უნდათ, რომ როდისმე სიმართლემ გაიმარჯვოს, თორემ გაიმარჯვებდა. მხოლოდ ისტორიულად შემორჩენილია, სიტყვა „გამარჯვება“. ქართველები, როცა ერთმანეთს ვხვდებით, ვესალმებით გამარჯობაო. ამით ერთმანეთს გამარჯვებას ვუსურვებთ, პასუხად გაგიმარჯოსო ვამბობთ. ასევეა პირად სადღეგრძელოში, მხოლოდ სუფრაზე. ეგ არის და ეგ, თორემ სადღაა გამარჯვება, ჩვენ ყველა დამარცხებულები ვართ. განსაკუთრებით მე, მარტოდმარტო დარჩენილი, განადგურებული, დამარცხებული ასაკოვანი ქალი, რომელიც ვდგავარ ჯანმრთელობის დაცვის ამხელა აპარატის და ამ ტრაგედიის ჩამდენ დამნაშავე გამოცდილი „ექიმების“ პირისპირ, მე ვინ გამამარჯვებინებს. დიდ კაცთან პატარა კაცსა როდის გასვლია მართალი? ჩვენს ქვეყანაში დიდი ხანია, ერთობა აღარ არის და აღარც ძალა ერთობაშია!

ჯემალ ქარაზანიშვილის კუთვნილ პატარა მიწაზე კი, რაც ყველას გადაეცემა ხოლმე სამუდამო მფლობელობაში, ამ ზამთარშიც კი ყვავის სხვადასხვა ფერის ცოცხალი ყვავილები და მწვანე კიპარისები... და შემომცქერის მისი საყვედურით მომზირალი სურათი, რაც, სანამ ცოცხალი ვარ, არ მომასვენებს...

ჯემალ ქარაზანიშვილის ტრაგედიის მომიზეზე „ექიმებს“ კი დიდი ხანია, აღარ ახსოვთ, ვინ იყო ეს უდანაშაულო კაცი, რომელიც გულუბრყვილოდ მიენდო მათ... პაციენტ ჯემალ ქარაზანიშვილის ცოდვამ არ მოასვენოთ ისინი, სანამ ცოცხლები არიან.

ᲜᲐᲢᲝ ᲥᲐᲠᲐᲖᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

2018 წლის 31 იანვარი.

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲨᲘ ᲥᲕᲔᲕᲠᲘᲡ ᲦᲕᲘᲜᲝ ᲬᲐᲠᲐᲓᲒᲘᲜᲔᲡ

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ რამდენიმე ქალაქში ღვინის პროფესიონალები, მედიისა და ბიზნესის წარმომადგენლები ქვევრის ღვინოსა და ქართული ღვინის კულტურას გაეცნენ. ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ქვევრის ღვინის მწარმოებლები მონაწილეობდნენ ბუნებრივი ღვინოების გამოფენებში — ქალაქ ანჟეში „Les Penitentes“-ში და ქალაქ სომურში „La Dive Boutteille“-ში.

„La Dive Boutteille“ ყველაზე დიდი და პოპულარული ნატურალური ღვინის გამოფენაა საფრანგეთში, რომელსაც ცნობილი ფრანგი მეღვინეები მასპინძლობენ.

„Les Penitentes“-ში ტრადიციულად მსოფლიოში ყველაზე ცნობილი „ნატურალური“ ღვინის მწარმოებლები მონაწილეობენ.

წელს ქართული ღვინო მერვედ იყო წარმოდგენილი. წინა წლებში მონაწილეობამ დიდი წარმატება და ახალი კონტრაქტები მოუტანა ქართველ მეღვინეებს.

სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ, დაეგემოვნებინათ შემდეგი კომპანიების ღვინოები: „იაგოს ღვინო“, „მანდილი“, „ხოხბის ცრემლები“, „მარანი ლაგაზი“, „გოგო ვაინიჰართანული ღვინო“, „კორტავების მარანი“, „რამაზ ნიკოლაძის მარანი“, „ოქროს ღვინო“.

მსგავს ღონისძიებებში ქართული ღვინის წარდგენით იზრდება შესაძლებლობა, რომ საქართველო სულ უფრო მეტმა ადამიანმა გაიცნოს, როგორც ღვინის მწარმოებელი ქვეყანა.

ეს დღეები სააკაშვილისთვის შესაძლოა, თავისუფლების უკანასკნელი დღეები აღმოჩნდეს

საქართველოს ექსპრეზიდენტსა და ოდესის ოლქის ექსგუბერნატორ მიხეილ სააკაშვილს კიევში ბელგიური გამოცემის „LA LIBRE BELGIQUE“-ს კორესპონდენტი სებასტიენ გობერი ესტუმრა.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ ბელგიურ გამოცემაში გამოქვეყნებული სტატიის ქართულენოვან ვერსიას:

დივანზე მჯდარი ბუზღუნა მიხეილ სააკაშვილი თავის ორსართულიან (დუპლექსის) ბინაში სტუმრის მოსვლას ვერ ამჩნევს. იგი სამ ტელეფონს ჟონგლიორივით გამალებული ათამაშებს და ლაპარაკითაა გართული. იმის შემდეგ, რაც კიევის სასამართლომ საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს შინაპატიმრობა მიუსაჯა და, შესაბამისად, იგი სახლში 22 საათიდან დილის 7 საათამდე უნდა იყოს, მისთვის სმარტფონები ერთგვარ ჰორიზონტად, თვალთახედვად იქცა. **„ბუსავით ფხიზელი ისეთი ადამიანისთვის, როგორიც მე ვარ, ასეთი მდგომარეობის გადატანა ძალიან მძიმეა“,** — აღიარებს იგი და ცოტა ხნით ესემესების წერას წყვეტს. კომენდანტის საათი საქართველოს ექსპრეზიდენტისათვის ძალიან ხელშემშლელია. ამას ემატება ისიც, რომ მისი ბედი გაურკვეველია. საქმე იმაში გახლავთ, რომ უკრაინის ხელისუფლების მიერ, „სახელმწიფო გადატრიალების მომზადების“ ბრალდებით დაწყებული სასამართლო გარჩევების გარდა, მიხეილ სააკაშვილს მშობლიურ საქართველოში ექსტრადირებაც ემუქრება, სადაც მას თანამდებობრივი უფლებამოსილების ბოროტად სარგებლობაში ადანაშაულებენ, ანუ შეიძლება რამდენიმე წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯონ და საპყრობილეში ჩასვან. არაა გამორიცხული, რომ მისთვის ეს დღეები თავისუფლების უკანასკნელი დღეები აღმოჩნდეს.

ექსტრადიცია

ექსპრეზიდენტს რომ დღევანდელ მდგომარეობასა და წინა წლების არაჩვეულებრივ თავგადასავლებზე ლაპარაკს დაუწყებ, მასში „მიშა“ იღვიძებს: **ეს აქტიური და ზოგჯერ ზომაზე მეტად მოურიდებელი ადამიანი ხელისუფლების მწვერვალზე საქართველოში 2003 წელს მომხდარი „ვარდების რევოლუციის“ შედეგად აღმოჩნდა. მას დიდი ხნის განმავლობაში აქებ-ადიდებდნენ, როგორც დაუცხრომელ რადიკალს და განათლებულ რეფორმატორს, თუმცა 2012 წელს, დემონსტრაციის დარბევისა და მასმედიაზე ზეწოლის ბრალდებების ფონზე, მისმა პარტიამ საპარლამენტო არჩევნები წააგო. „საქართველოს მსგავს ქვეყანაში ცვლილებების განხორციელება ძალის დემონსტრირების გარეშე შეუძლებელია“,** — ამბობს მიხეილ სააკაშვილი.

იგი დარწმუნებულია, რომ თბილისის სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი სხვა არაფერია, თუ არა ოლიგარქ ბიძინა ივანიშვილის მიერ განხორციელებული „პოლიტიკური დევნა“ მის წინააღმდეგ. ყოველ შემთხვევაში, როგორც ექსპრეზიდენტი ირწმუნება, ეს ყველაფერი ცირკია. ბიძინა ივანიშვილს ხსინამდვილეში ჩემი საქართველოში დაბრუნება არ სურს, რადგან მე თუ იქ ჩავალ, დაიწყება დიდი გამოსვლები, ჩემი მომხრეები საქართველოს მთავრობას დაამხობენ და ისე გამათავისუფლებენ!“. ამ სიტყვების წარმოთქმისას მიხეილ სააკაშვილი ჩაის იმ ფინჯნით სვამს, რომელზეც მისი პორტრეტია გამოსახული.

არადა, ნაპრეზიდენტალ-ნაგუბერნატორალის ექსტრადირება იმიტომაა რეალური, რომ უკრაინის პრეზიდენტი პეტრო პოროშენკო აშკარად ესწრაფვის ოპოზიციონერის თავიდან მოშორებას. მიხეილ სააკაშვილი თვითონაც ამბობს: **„მე მას ოლიგარქებთან კორუფციულ გარიგებებში ხელს ვუშლი“,** — დარწმუნებულია ყოფილი ქართველი ლიდერი.

მიხეილ სააკაშვილი უკრაინაში 2014 წელს გამოჩნდა, მაიდნის რევოლუციის შემდეგ და სახელმწიფოს ახალ მეთაურს თავისი სამსახური შესთავაზა. პეტრო პოროშენკომ იგი 2015 წლის ივლისში პრობლემური ოდესის ოლქის გუბერნატორად დანიშნა. ერთი წელიც არ იყო გასული, რომ უკრაინის მოქმედ პრეზიდენტსა და საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს შორის ურთიერთობა გაფუჭდა. მიშა თანამდებობიდან გადადგა (თანაც ოდესაში მისი მუშაობის შედეგები საკმაოდ არაერთმნიშვნელოვანი აღმოჩნდა) და განაცხადა, რომ მას პრეზიდენტი მუშაობაში ხელს უშლიდა. ამის მერე იგი ოპოზიციის ბანაკში გადავიდა. იმას, რაც შემდეგ უკრაინაში მოხდა, სიტყვებით ვერ აღწერ: მიშას პოპულისტური ინიციატივები, პრეზიდენტის მიერ მისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევა, მიშას მხრიდან პოლონეთ-უკრაინის სახელმწიფო საზღვრის დარღვევა, პოლიციისაგან გაქცევა და შენობის სახურავზე ძრომიალი...

გადარეული რევოლუციონერი

მიხო ისეთ სცენებს დგამს, რომ სათავგადასავალო ფილმის რეჟისორს შეშურდება. ასეა თუ ისე, მისი მოულოდნელი ნაბიჯები თავგზას უბნევს არა მარტო ყველაზე გამოცდილ და პროფესიონალ დამკვირვებლებს, არამედ უკრაინის მთავრობასაც. მიხეილ სააკაშვილი დარწმუნებულია: ის ბრალდებები, რომლებიც უკრაინის გენპროკურატურამ მის წინააღმდეგ გააჟღერა, **„პეტრო პოროშენკოსა და ვლადიმერ პუტინის გარიგების შედეგია“**. ისე, კაცმა რომ თქვას, უკრაინის ხელისუფლებაც ვერ არის თავის სიმაღლეზე: მიშას დამნაშავედ მიიჩნევენ, მას კი პოლიცია ვერ აკავებს და თუ დავუშვათ, აკავებს, სასამართლოს მკაფიო და საბოლოო გადაწყვეტილება ვერ გამოაქვს. „**ყველა მათი ინიციატივა, რომელიც ჩემ წინააღმდეგ ხორციელდება, ხელისუფლების მოუმზადებლობაზე მეტყველებს და აქედან გამომდინარე, პეტრო პოროშენკოს სისუსტეს ამჟღავნებს“,** — აცხადებს მიშა.

მაგრამ ისიც აშკარაა, რომ ამ გადარეულ რევოლუციონერს მანევრებისათვის სულ უფრო ნაკლები სივრცე რჩება. იგი იძულებულია, მთელი დღეები სასამართლოებში გაატაროს, სადაც მისი საქმეები იხილება. საღამოობით კი მიშა ვალდებულია, კიევის ცენტრში მდებარე თავის უზარმაზარ ბინაში იჯდეს, დიდ ეგვიპტურ კოლონებთან, ლუდოვიკო მე-14-ის სტილით აწყობილ საათებთან და თეთრ ფორტეპიანოსთან ერთად, რომელზეც იგი არ უკრავს.

მიხეილს სჯერა, რომ უკრაინელი ხალხი მას მხარს უჭერს, ხოლო იმ გამოკითხვების შედეგები, რომელთა თანახმად, მისი რეიტინგი მხოლოდ ორი პროცენტია, სპეციალურად არის გაყალბებული. **„ჩემი მოწოდების შედეგად კიევში გამართულ მიტინგში ყველაზე მეტი ადამიანი მონაწილეობდა 2014 წლის შემდეგ“,** — აცხადებს იგი, — „რამდენიმე ათასი მოქალაქე“. მიშას პოპულარობის დონე ძალიან მერყეობს, მაგრამ მაღალი მაინც არ არის. გარდა ამისა, მისი მცდელობა, რომ პეტრო პოროშენკოს წინააღმდეგ მიმართული ოპოზიციური პლატფორმა ჩამოყალიბებულიყო (პრეზიდენტს მიშა კორუფციასა და ავტორიტარიზმში ადანაშაულებს), წარუმატებლად დასრულდა. ბევრი აკრიტიკებს საქართველოს ექსპრეზიდენტს იმაშიც, რომ იგი თავშეუკავებელია და სხვა პოლიტიკურ ორგანიზაციებთან მოლაპარაკების უნარი არა აქვს. თვითონ იგი ირწმუნება, რომ მათთან საკმაოდ მნიშვნელოვან კომპრომისებზე წავიდა. **„ისინი თვითონ არიან დამნაშავენი თავიანთ წარუმატებლობაში: ლამაზ სიტყვებს იძახიან, მაგრამ შედეგებს ვერ აჩვენებენ“,** — ამბობს მიშა. ამასთან, ფაქტია, რომ მას ნამდვილი სახალხო-პოლიტიკური ბაზა არ გააჩნია და ამიტომ ნაციონალისტურ და გასამხედროებულ დაჯგუფებებთან გაერთიანდა. **„თუ ისინი მზად არიან ნამდვილი ბრძოლისათვის, როგორ შემიძლია უარი ვუთხრა?“** — თავს იმართლებს იგი. არადა, სწორედ ამ გადაწყვეტილებამ გააძლიერა მის წინააღმდეგ მიმართული კრიტიკა და იზოლაციაში მოაქცია.

თუმცა, რაც არ უნდა მოხდეს, იგი უკან დახევას არ ფიქრობს. **„შეიძლება, პოლონეთში წავიდე, სადაც უკრაინაში და საქართველოს დევნისაგან კარგად დამიცავენ“,** — ამბობს მიხეილ სააკაშვილი, მაგრამ შეძლებს იგი კი ნორმალურ ცხოვრებას დაუბრუნდეს? **„მე არავის მივცემ იმის ნებას, რომ პოლიტიკას ჩამომაშორონ. უკრაინამ წარმატებას უნდა მიაღწიოს“.**

დივანზე მოკალათებული თვითმარქვია მიხეილ სააკაშვილი, როგორც ჩანს, დარწმუნებულია, რომ უკრაინა მის გარეშე წარუმატებელი იქნება.

„LA LIBRE BELGIQUE“
(ბელგია)

კალინინგრადთან რუსეთის მიერ „ისკანდერის“ განთავსება ნახევარი ევროპისთვის საფრთხეს წარმოადგენს!

„ზუსტად ახლა კალინინგრადში მიმდინარეობს რაკეტების „ისკანდერების“ განთავსება იქ მუდმივი დისლოცირებისთვის. ეს ნიშნავს საფრთხეს არა მხოლოდ ლიტვისთვის, არამედ ნახევარი ევროპისთვისაც“, — განაცხადა ლიტვის პრეზიდენტმა დალია გრიბაუსკაიტემ.

5 თებერვალს ლიტვის თავდაცვის მინისტრმა რაიმუნდას კარობლისმა განაცხადა, რომ რუსეთმა კალინინგრადის ოლქში განათავსა ოპერატიულ-ტაქტიკური სარაკეტო კომპლექსები „ისკანდერი“. აღნიშნული ინფორმაცია დაადასტურა რუსეთის სახელმწიფო დუმის თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ ვლადიმირ შამანოვმა.

მისი თქმით, „ისკანდერების“ სამიზნე იქნება რუსეთის საზღვრებთან განთავსებული უცხოური სამხედრო ინფრასტრუქტურა.

მალდივის ყოფილი პრეზიდენტი დააკავეს

აბდულა იამინ აბდულ გაიუმი ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებიდან ერთ საათში პოლიციამ აიყვანა. გაიუმი, რომელიც ახლანდელი პრეზიდენტის აბდულა იამინის ნახევარძმაა, ქვეყანას 2008 წლამდე, 30 წლის განმავლობაში მართავდა.

მალდივის კუნძულებზე არეულობა მას შემდეგ დაიწყო, რაც ქვეყნის უზენაესმა სასამართლომ დაპატიმრებული პოლიტიკური ლიდერების დაუყოვნებლივ გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. სასამართლომ თვითგამოცხადებული ყოფილი პრეზიდენტის მუჰამედ ნაშიდის გათავისუფლებაც მოითხოვა.

ერდოღანი: თურქეთმა ყველაფერი გააკეთა, ახლა ევროკავშირმაც უნდა შეასრულოს დაპირება

„ჩვენ გვსურს ევროკავშირის სრულფასოვანი წევრობა, სხვა გადაწყვეტილებას არ მივიღებთ. კრიტერიუმების დასაკმაყოფილებლად თურქეთმა ყველაფერი გააკეთა. გაწევრიანება ორხმრივი პროცესია, ევროკავშირმაც უნდა შეასრულოს დაპირება“, — განაცხადა ერდოღანმა.

მისი შეფასებით, ევროკავშირი თურქეთის ორგანიზაციაში გაწევრიანების პროცესს აფერხებს, შემდეგ კი ყველაფერში თურქეთს ადანაშაულებს.

„ეს არასამართლიანია. ევროკავშირის რამდენიმე ქვეყანა გვთავაზობს ალტერნატიულ ვარიანტს, ეს უსამართლობაა“, — განაცხადა ერდოღანმა.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს ზაზა სანიკიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ზაზა სანიკიძე (პ/ნ 62001021912), ფოთი, აფხაზეთის ქ. 7, სართული 3, ბინა №21.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

ფოთი, აფხაზეთის ქ. 7, სართული 3, ბინა №21 (საკადასტრო კოდი: 04.02.12.651.30.021).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 13062.59 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2018 წლის 7 თებერვალი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2018 წლის 23 თებერვალი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP49629318;
აუქციონის ნომერი: 71271;
ლოტის ნომერი: 496293

6. **მოვალე:** ზაზა სანიკიძე (პ/ნ 62001021912), ფოთი, აფხაზეთის ქ. 7, სართული 3, ბინა №21.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP49629318; ლოტის ნომერი: 496293).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2018 წლის 22 თებერვლის 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს შპს „სახლი დიღომში“-ს საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** შპს „სახლი დიღომში“ (ს/ნ 204561429), თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, დემეტრე თავდადებულის ქ. №45.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

თბილისი, დიდი დიღომი, საცხოვრებელი რაიონი (ნაკვეთი 003/001)/თბილისი, დიდი დიღმის მიმდებარე ტერიტორია (ნაკვეთი 03/006), სართული 1, ბინა 11, ბლოკი 31 (საკადასტრო კოდი: 01.10.07.009.001.03.011).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 16778.42 ლარი დღგ-ის ჩათვლით (დღგ შეადგენს 2559.38 ლარს);
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2018 წლის 7 თებერვალი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2018 წლის 23 თებერვალი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP49629718;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 496297

6. **მოვალე:** ნუკრი დუმბაძე (პ/ნ 61006012532), ხელვაჩაური, სოფელი თხილნარი.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP49629718; ლოტის ნომერი: 496297).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2018 წლის 22 თებერვლის 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

◎ ზამთრის თამაშები

პიონჩანგში - ოთხი ოლიმპიელით

სამხრეთ კორეის საკურორტო ქალაქი პიონჩანგი 9-25 თებერვალს 2018 წლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს უმასპინძლებს. სპორტის 7 სახეობაში (15 დისციპლინა) 93 ქვეყნის 3000-მდე სპორტსმენი იასპარეზებს. ოლიმპიადა საზეიმოდ 9 თებერვალს გაიხსნება, ხოლო 8-ში ოლიმპიურ სოფელში საქართველოს სახელმწიფო დროშა აღიმართება. თამაშებში საქართველოს ოთხი წარმომადგენელი მოსინჯავს ძალებს: იასონ აბრამაშვილი (სამთო თხილამურები, ეს მისი მეოთხე ოლიმპიადაა), ნინო წიკლაური (სამთო თხილამურები, მესამედ), მორის ყვითელაშვილი (ფიგურული ციგურაობა, დებიუტანტი), გიორგი სოღოიანი (საციგაო სპორტი, დებიუტანტი). სწორედ მათ გაცილებას მიეძღვნა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შტაბ-ბინაში გამართული საზეიმო ცერემონიალი, რომელსაც დაესწრნენ სეოკ-ის პრეზიდენტი ლერი ხაბელოვი, პირველი ვიცე-პრეზიდენტი ელგუჯა ბერიშვილი, გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი, საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე შალვა გოგოლაძე, სპორტის დეპარტამენტის უფროსი ირაკლი დოლაბერიძე და სხვები. ოლიმპიელებს თამაშებზე წარმატებული გამოსვლა უსურვეს ლერი ხაბელოვმა და შალვა გოგოლაძემ, შემდეგ კი გაიმართა ოლიმპიური ფიცის დადების ცერემონია.

პიონჩანგის ოლიმპიურ სოფელში სპორტსმენებთან ერთად იცხოვრებენ მისიის ხელმძღვანელი მამუკა ხაბარელი, ადმინისტრატორი რუსუდან აფციაური, მწვრთნელები — ვალტერ ჰუბმანი, ფრანჩესკო ზანკოლო (ორივე — სამთო თხილამურები), დანილ გლეიხენგაუზი (ფიგურული ციგურაობა), ფელიქს ქუმარიტაშვილი (საციგაო სპორტი); ოლიმპიური სოფლის გარეთ — ლერი ხაბელოვი (დელეგაციის ხელმძღვანელი), კულტურისა და სპორტის მინისტრი მიხეილ გიორგაძე, შალვა გოგოლაძე, ელგუჯა ბერიშვილი, ემზარ ზენაიშვილი, სამხრეთ კორეის რესპუბლიკაში საქართველოს ელჩი ოთარ ბერძენიშვილი, ფიგურული ციგურაობის ფედერაციის პრეზიდენტი მარიამ გიორგობიანი, სათხილამურო სპორტის ფედერაციის თავკაცი ზურაბ კოსტავა; ჟურნალისტები — თენგიზ გაჩეჩილაძე, ოთარ გიორგაძე, ლევან ღუდუშაური, თამარ ყულუმბეგაშვილი.

ოლიმპიადაზე ქართველთა გამოსვლის გრაფიკი:

11.02. გიორგი სოღოიანი.

12.02. ნინო წიკლაური (გიგანტური სლალომი).

14.02. ნინო წიკლაური (სლალომი).

16.02. მორის ყვითელაშვილი (მოკლე პროგრამა).

17.02. მორის ყვითელაშვილი (თავისუფალი პროგრამა).

18.02. იასონ აბრამაშვილი (გიგანტური სლალომი).

22.02. იასონ აბრამაშვილი (სლალომი).

ლაშა დიდია

◎ ჭადრაკი

მედლებიც, საგზურებიც

თბილისის ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა 20-წლამდელ მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობა, რომელიც შესარჩევი შეჯიბრებაც იყო. მედლებისთვის სხვადასხვა კუთხის 51 წარმომადგენელი იბრძოდა. გოგონებში აშკარა ფავორიტი გახლდათ 18-წლამდელებში ევროპის ორგზის ჩემპიონი ნინო ხომერიკი, რომელმაც ქომაგები არ გააწბილა: ქალთა შორის საერთაშორისო ოსტატმა ცხრა შესაძლებლობიდან 7.5 ქულა მოაგროვა და ჩემპიონობა მოიპოვა. 6.5-6.5 ქულით მეორე-მესამე ადგილები მარიამ ჯანიაშვილმა და თამარ ესაძემ გაიყვეს.

ნინო ხომერიკი



გიორგი სიბაშვილი

ვაჟებში 7.5 ქულით ოქროს მედალი საერთაშორისო ოსტატმა გიორგი სიბაშვილმა დაიმსახურა. გამარჯვებულს ნახევარი ქულით ჩამორჩა ლუკა ობოლაძე, რომელსაც ვერცხლის მედალი ხვდა. 6.5 ქულით მესამე ადგილი ნოე თუთისანმა დაიკავა. ჩემპიონები — ნინო ხომერიკი და გიორგი სიბაშვილი წლეულს 20-წლამდელ მოჭადრაკეთა მსოფლიოს ჩემპიონატში იასპარეზებენ.

თამაზ პატარიძე

◎ კრივი



სანამ აპრილი მოვა

18-წლამდელ მოკრივეებს წლეულს მნიშვნელოვანი პაექრობები ელით. პირველი დიდი შეჯიბრება, რომელშიც ისინი იასპარეზებენ, გომელის (ბელარუსი) საერთაშორისო ტურნირია. ის 20 თებერვალს დაიწყება და ქართველები იქ ცხრა სპორტსმენით გამოვლენ. მათი ვინაობა ამ ასაკში საქართველოს პირველობამ დაასახელა. დკდ-ს კლუბში 100-მდე მონაწილემ მოიყარა თავი ქვეყნის ყველა რეგიონიდან. შეჯიბრებამ მრავალი პერსპექტიული მოკრივე წარმოაჩინა, მათ შორის — ხობიდან, ჩხოროწყუდან, ტყიბულიდან, ზუგდიდიდან, ჭიათურიდან. განსაკუთრებით საინტერესო ორთაბრძოლები გაიმართა 56, 60 და 69 კილოში, რომელთა ნახევარფინალისტებმა სპეციალისტებზე კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. დაძაბული ბრძოლების შემდეგ პირველ ადგილებზე გავიდნენ: **ლუკა კუბლაშვილი (49 კგ, რუსთავი), სერგო ცაციაშვილი (52, გორი), გია თოთლაძე (56, გორი), ალეკო ყიფიანი (60, თბილისი), ნიკა ჯაკონია (64, ხობი), ნიკა მოდებაძე (69, ჭიათურა), ლაშა კურტანიძე (75, რუსთავი), თემურ ქიმაძე (81, თბილისი), ილია მწარიაშვილი (91, გორი), გიორგი კოპალიანი (+91, თბილისი).** ბელარუსის ტურნირის შემდეგ ეს სპორტსმენები ნაკრების სხვა კანდიდატებთან ერთად მოემზადებიან ევროპის ჩემპიონატისთვის, რომელიც 17-27 აპრილს იტალიაში გაიმართება.

ლექსო ცინცაძე

◎ რაგბი ჩვენი თამაშია!

მინისტრი „ბორჯღალოსნებს“ შეხვდა

„ბორჯღალოსნებმა“ 2018 წლის სანაკრებო სეზონის პირველი შეკრება გუშინ დაიწყეს. გუშინვე ბიჭებს „შევარდენზე“ საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრი მიხეილ გიორგაძე ეწვია.

მან „ბორჯღალოსნებს“ მადლობა გადაუხადა იმ სიხარულისთვის, რასაც ქვეყანასა და მის მოსახლეობას წლების განმავლობაში ანიჭებენ და მომავალ თამაშებში, ასევე 2019 წლის მსოფლიო თასზე წარმატებები უსურვა. შეხვედრას ესწრებოდა კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე შალვა გოგოლაძე, რომელმაც ქართველ მორაგბეებს თანამედროვეობის გმირები უწოდა.

მიხეილ გიორგაძე: **„ჩემთვის, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქისა და სპორტის მინისტრისთვის, ემოციური შეხვედრა იყო. ესენი ის ბიჭები არიან, რომლებმაც საქართველოს გამარჯვების განცდა დაუბრუნეს. მათ შეგვაჩვიეს მოგებებს, შესაბამისად, ყოველი თამაშისა თუ ტურნირის წინ მოლოდინი ძალიან დიდია.**

დარწმუნებული ვარ, რომ 2018 წელი წარმატებული იქნება და ეს ბიჭები შეძლებენ როგორც რაგბი ევროპის ჩემპიონატის, ასევე ანთიმოზ ივერიელის თასის დაბრუნებას“.

საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა გოჩა სვანიძემ მიხეილ გიორგაძესა და მთელ მთავრობას თანადგომისთვის მადლობა გადაუხადა, ხოლო მორაგბეებმა მინისტრს და მის მოადგილეს ავტოგრაფებით დამშვენებული ბურთები გადასცეს.

გოჩა სვანიძე: **„ბორჯღალოსნები“ ქვეყნის სადარბაზო ბარათი არიან და მინისტრის ვიზიტი, ხაზგასმა, რომ სახელმწიფო მათ გვერდში დგას, ამ ბიჭებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ვფიქრობ, ასეთი შეხვედრები მომავალშიც იქნება. მხარდაჭერის დაფიქსირება ზედმეტი არასდროს არაა“.**

„ძალიან სასიამოვნოა, როდესაც ასეთი კომუნიკაცია არსებობს. ეს წარმატების ერთ-ერთი საწინდარია“, — თქვა შეხვედრის დასრულების შემდეგ „ბორჯღალოსანთა“ კაპიტანმა მერაბ შარიქაძემ.

კობა კობახიძე

◎ ჩოგბურთი

განახლებული რეიტინგით

უკვე გაუწყეთ, რომ გასულ უქმეებზე თბილისელმა ოქსანა კალაშნიკოვამ იაპონელ ნაო ჰიბინოსთან ერთად ტაივანის ღია პირველობაზე წყვილებში მე-2 ადგილი დაიკავა და 180 ქულა დაიმსახურა. ამ წარმატებით ჩვენებური ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ასოციაციის განახლებულ რეიტინგში 9 საფეხურით დაწინაურდა. დღეისათვის მსოფლიოს კლასიფიკაციაში ქართველთა მაჩვენებლები ასეთია:

ქალები. **ერთეულები.** 326 (327). ეკატერინე გორგოძე (137 ქულა), 343 (342). სოფიო შაფათავა (127), 561 (559). მარიამ ბოლქვაძე (47); **წყვილები.** 54 (63). ოქსანა კალაშნიკოვა (1325), 241 (238). სოფიო შაფათავა (298), 382 (383). ეკატერინე გორგოძე (146), 629 (627). მარიამ ბოლქვაძე (55), 769 (769). თათია მიქაძე (34), 982 (965). სალომე დევიძე (18).

ვაჟები. **ერთეულები.** 57 (57). ნიკოლოზ ბასილაშვილი (916), 1084 (1082). გიორგი ცივაძე (8), 1230 (1233). ალექსანდრე ბაქში (4), 1592 (1995). გიორგი ჯავახიშვილი 91), 1825 (1828). ვაჟა შუბლაძე (1).

გივი გაგუა

◎ ფეხბურთი

ჯერჯერობით - მოვალეობის შემსრულებლად

იტალიის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებლად 21-წლამდელთა ნაკრების თავკაცი ლუიჯი დი ბიაჯო დაინიშნა.

იქაური გამოცემების ცნობით, 46 წლის სპეციალისტი „სკუადრა აძურას“ მარტში გასამართ ამხანაგურ მატჩებში გაუძღვება. აპენინელები 23 მარტს, მანჩესტერში, Etihad Stadium-ზე არგენტინის ნაკრებს დაუპირისპირდებიან, 27 მარტს კი ლონდონში, „უემბლიზე“, ინგლისელებთან მოსინჯავენ ძალებს.

შეგახსენებთ, რომ იტალიის ნაკრები გასული წლის ნოემბრიდან მთავარი მწვრთნელის გარეშეა. მას შემდეგ, რაც გუნდმა მსოფლიოს 2018 წლის ჩემპიონატის საგზური ვერ მოიპოვა, ჯანპიერო ვენტურას პოსტის დატოვება მოუწია. ფეხბურთის ფედერაცია მისი შემცვლელის ძიებას განაგრძობს.

რაც შეეხება ლუიჯი დი ბიაჯოს, მას ფეხბურთელის კარიერა „ლაციოში“, „მონცაში“, „ფოჯაში“, „რომაში“, „ინტერში“, „ბრეშასა“ და „ასკოლიში“ გაუტარებია. პოზიციით ნახევარმცველმა ეროვნული ნაკრების მაისური 32 მატჩში მოირგო და 2 გოლი გაიტანა.

მწვრთნელობა 2011 წელს იტალიის 20-წლამდელთა ნაკრებში დაიწყო, 2013 წლიდან კი 21-წლამდელებს უდგას სათავეში. ვენტურას დათხოვნის შემდეგ ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელობის კანდიდატთა შორის მისი გვარიც არაერთხელ დასახელდა, თუმცა, ჯერჯერობით მხოლოდ დროებით მიანდეს „სკუადრა აძურას“ გაწვრთნა.

გიორგი შოთაძე

◎ შეხვედრა პოეტთან

მიყვარხართ ყველა, გიხუტებთ გულში...

უჩვეულოდ დაიწყო მწერალთა სახლში 30 იანვრის საღამო. **დამსწრე საზოგადოების წინაშე თავისი მორიგი მეოთხე წიგნით („თბილისის ტრუბადური“) წარსდგა ერთი გამორჩეული თბილისელი „ღვაწლმოსილი მოქალაქე“, პოეტი და მეცნიერი გურამ ჭავჭანიძე:**

„მიყვარხართ ყველა,
გიხუტებთ გულში,
და ამ სიმართლით ვივლი
ხატამდე,
არ დავიღლები თქვენს
სიყვარულში
განთიადიდან
განთიადამდე!“

ამ ლექსით გახსნა საღამო ბატონმა გურამმა...

„საათნოვასა და ი. გრიშაშვილის შემდეგ, შენ გარდა, სხვა თბილისელი ტრუბადური არ მეგულება და ვამაყობ შენთან მეგობრობით“, — ასე მიმართა 86 წლის იუბილარს საქართველოს მწერალთა კავშირის თავკაცმა, ბატონმა რევაზ მიშველაძემ. გულთბილად მიესალმა, მიესიყვარულა და ფასიანი საჩუქარი გადასცა ბატონ გურამს პარლამენტის განათლებისა და კულტურის განყოფილების კომიტეტის ხელმძღვანელმა, მშვენიერმა მანდილოსანმა მარიამ ჯაშმა. ბატონ გურამს მიულოცეს იუბილე და დაასაჩუქრეს ჟურნალ „ათინათის“ რედაქტორმა და პოეტმა გულნაზ ხარაიშვილმა, გურამის განუყრელმა მეგობარმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა ინჟინერმა ჯონი შავლაყაძემ, პოეტებმა ე. ზარიძემ, ლ. შეყილაძემ, ლ. გაფრინდაშვილმა, ზ. მამულაშვილმა, ხონის წარმომადგენელმა გ. ლოჩოშვილმა, ჟურნალისტმა და წამყვანმა ე. მდინარაძემ, უცხოელმა სტუმრებმა, ქართველმა ემიგრანტებმა. სიყვარულით მიესალმა ბატონ გურამს ცნობილი ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე, „გიორგიანელთა გალერეის“ დამფუძნებელი გვანჯი მანია. მან შექმნა ამ გალერეის ერთ-ერთი გმირის გურამ ჭავჭანიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი შესანიშნავი ბანერი. შესანიშნავი სიმღერით (გურამის ლექსზე შექმნილი) დაამშვენეს საღამო ცნობილმა მომღერლებმა მუსიკოსისა და კომპოზიტორის კოტე მიქაძის ხელმძღვანელობით, ვიოლინოს დიდოსტატმა გულიკო მაღრაძემ, გურამის ლექსი წაიკითხა მისმა მშვენიერმა შვილიშვილმა ნია ჭავჭანიძემ.

ეს იყო პოეზიის ნამდვილი ზეიმი და დარბაზში არ წყდებოდა ტაში. ღმერთო, უმრავლეს თბილისს მსგავსი დღესასწაულები!

ნაირა კუჭუხიძე

ᲨᲔᲙᲘᲓᲣᲚᲘ ᲭᲔᲠᲘ ᲛᲔᲢᲠᲝᲡᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲨᲘ ᲐᲦᲐᲠ ᲓᲐᲛᲝᲜᲢᲐᲟᲓᲔᲑᲐ

2018 ᲬᲔᲚᲡ 10 ᲛᲔᲢᲠᲝᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘᲡ ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲐ ᲘᲒᲔᲒᲛᲔᲑᲐ

„ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ სატრანსპორტო კომპანიის“ ტექნიკური დირექტორის ლევან მეხრიშვილის განცხადებით, მეტროსადგურ „ვარკეთილში“ განვითარებული მოვლენების შემდეგ, სამუშაოების ჩაბარების პროცესი გამკაცრდება და შეკიდული ჭერი არც ერთ მეტროსადგურში არ გაკეთდება.

„ძველ საკიდებზე, როგორც ეს „ვარკეთილის“ შემთხვევაში მოხდა, შეკიდული ჭერი არც ერთ მეტროსადგურში არ კეთდება. მაშინაც, როდესაც მეტრო „ვარკეთილს“ ვაკეთებდით, შემოწმდა, რამდენად მყარი იყო ის ანკერები ახალი ჭერისთვის. მიღებული გვაქვს დასკვნა, რომ ის ვარგისია ხანგრძლივი ექსპლუატაციისთვის. ამიტომ კომპანიამ სამუშაოები გააგრძელა. დასკვნა მიღებული გვაქვს მეცნიერებათა დოქტორ, ინჟინერ-კონსტრუქტორისგან. შემოწმება გაკეთდა ჩვენი თანამშრომლების თანდასწრებით და ამით დავკმაყოფილდით, რომ ეს საკიდები მყარია. რაც შეეხება სარეაბილიტაციო სამუშაოების შემდგომ შემოწმებას, ნამდვილად ვერ გეტყვით, ვინ შეამოწმა შემდგომ ეს სამუშაო და იყო თუ არა ეს შპს „ყვარელრემმშენის“ მიერ დაქირავებული კომპანია“, —განაცხადა მეხრიშვილმა.



მისივე თქმით, ამ ეტაპზე მიმდინარეობს მეტროსადგურების: „სამგორის“, „გურამიშვილის“ და „ავლაბრის“ სარეაბილიტაციო სამუშაოები და წელს ასევე იგეგმება 10 მეტროსადგურის რეაბილიტაცია. ეს მეტროსადგურებია: „სადგურის მოედანი 1“, „სადგურის მოედანი 2“, „სადგურის მოედანი 3“, „ნაძალადევი“, „ისანი“, „თავისუფლების მოედანი“, „წერეთელი“, „მარჯანიშვილი“, „რუსთაველი“, „სამედიცინო უნივერსიტეტი“.

„ᲩᲕᲔᲜ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲒᲕᲔᲛᲐᲚᲐ ᲓᲔᲤᲔᲥᲢᲔᲑᲘ...“

ᲛᲔᲢᲠᲝᲡᲐᲓᲒᲣᲠ „ვარკეთილის“ სარემონტო სამუშაოები დარღვევებით შესრულდა და ის თავიდანვე ნგრევისთვის იყო განწირული. ამის შესახებ განცხადებას დავით ტაბახმელაშვილი „კურიერთან“ საუბარში აკეთებს. ის „ყვარელრემმშენის“ დაქირავებული მუშა იყო და სარეაბილიტაციო სამუშაოებში მონაწილეობდა. ტაბახმელაშვილი ამბობს, რომ დარღვევების შესახებ მუშებმა კომპანია გააფრთხილეს, თუმცა სანაცვლოდ კომპანიამ მუშებს ამ ამბის დამალვა მოსთხოვა:

„სიმყარე არ ჰქონდა, დასკდა და არ იყო სწორად გაკეთებული. ზევითა კიბეებიდან თუ დააკვირდებოდით, ძალინ დიდი ტალღოვანობა ჰქონდა და ქანაობდა. მატარებელი რომ მიდიოდა, ის ქანაობდა, არ იყო მყარად ჭერი გაკეთებული. ის ფიზიკურად ვერ გაუძლებდა ...გააკეთეს ნათურები, რითიც დამალეს დეფექტები. ჩვენ შემოგვთავაზეს, რომ ხელახლა „დაგვეშპაკლა“, თანხის მომატებაც შემოგვთავაზა, ანუ გადაგვიხდიდა ჩვენი სამუშაოს ჩატარებაში , მაგრამ ჩვენ უარი განვაცხადეთ იქიდან გამომდინარე, რომ ჩემს გარდა კიდევ შვიდი კაცი მუშაობდა და ჩვენ ვთქვით, რომ არ გვიღირდა იქიდან გამომდინარე, რომ ეს დაკიდეული ჭერი ამხელა მოცულობას და მასას და ცარცს ვერ გაუძლებდა, შეიძლებოდა უფრო მალე ჩამონგრეულიყო, ვიდრე ეს ტრაგედია დატრიალდებოდა.

მერიიდან არავინ მოსულა, არც ერთი კონკრეტული პირი, არც ერთი ექსპერტი მე აქ არ მინახავს. მთელი 5 თვე მე აქ ვმუშაობდი და მთელი ღამე აქ ვიყავი. სამუშაოები „ვარკეთილში“ უფრო ადრე დამთავრდა, ვიდრე გლდანის მეტროში“, — აცხადებს ტაბახმელაშვილი „კურიერთან“ საუბარში.

ტაბახმელაშვილი ამტკიცებს, რომ მეტროსადგურ „ვარკეთილის“ მსგავსად რთული ვითარებაა მეტროსადგურ „ახმეტელის თეატრში“, სადაც იგივე პრინციპით დაამონტაჟეს ჭერი ესკალატორის თავზე. ამ დროისათვის აღნიშნულ ბრალდებებს კომენტარს არ აკეთებენ არც „ყვარელრემშენში“ და არც მერიაში.

ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲤᲘᲚᲛᲘ ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲐᲚᲔᲖᲔ

BERLINALE CLASSICS **მაყურებელს მსოფლიოში ათწლეულების წინ აღიარებული 7 ფილმის აღდგენილი ვერსიების მსოფლიო პრემიერებს შესთავაზებს.**

მათ შორის ერთ-ერთი კანის კინოფესტივალის ოქროს პალმის რტოს მფლობელი ფილმი იქნება.

ფილმი, რომელიც მოგვითხრობს მეორე მსოფლიო ომის დროს მიმდინარე მოვლენების შესახებ, ეფუძნება ვიქტორ როზოვის ამავე სახელწოდების პიესას.

„მიფრინავენ წეროები“ ერთადერთი საბჭოთა ფილმია, რომელიც აღინიშნა კანის კინოფესტივალის მთავარი პრიზით. ორი წლის წინ, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების კინემატოგრაფისტთა გამოკითხვის შედეგად, „მიფრინავენ წეროები“ ყველა დროის საუკეთესო საბჭოთა ფილმად გამოცხადდა. ის აღწერს მეორე მსოფლიო ომის სისასტიკეს და ომის შედეგად გამოწვეულ უმძიმეს ფსიქოლოგიურ ტერორს. გვიყვება ადამიანებზე, რომელთა ცხოვრებაშიც დაუნდობლად შეიჭრა ომი და განუკურნებელი კვალი დატოვა მათ ემოციურ მდგომარეობაზე.

„ᲩᲔᲛᲘ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘ ᲝᲯᲐᲮᲘ“ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲣᲚᲘ ᲙᲘᲜᲝᲡ ᲯᲘᲚᲓᲝᲖᲔ ᲬᲐᲠᲐᲓᲒᲘᲜᲔᲡ

გერმანული **კინოს აკადემიამ „ჩემი ბედნიერი ოჯახი“** LOLA **წარადგინა. ჩვენებები სპეციალური რეტროსპექტივის** LOLA at Berlinale **ფარგლებში — 18 და 21 თებერვალს დელფის ცნობილ კინოთეატრში გაიმართება, რის შემდეგაც მაყურებელი ფილმის შემქმნელებს შეხვდება. პროექტს** LOLA at Berlinale **სამი პარტნიორი ერთობლივად ახორციელებს: გერმანული კინოაკადემია, ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალი და გერმანული კინოს ფონდი.**

„ჩემი ბედნიერი ოჯახი“ თბილისში მცხოვრები ქართული ოჯახის ისტორიას მოგვითხრობს, სადაც ერთ ჭერქვეშ 3 თაობის წარმომადგენლები ცხოვრობენ. სცენარი ნანა ექვთიმიშვილს ეკუთვნის. მთავარ როლებს მერაბ ნინიძე და ია შუღლიაშვილი ასრულებენ.

ნანა ექვთიმიშვილისა და სიმონ გროსის ფილმის „ჩემი ბედნიერი ოჯახი“ ევროპული პრემიერა ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალზე სექციაში Forum გაიმართა.

საუკეთესო რეჟისურისთვის სოფიას კინოფესტივალზე დაჯილდოვდა.

„ჩემი ბედნიერი ოჯახი“ ლეჩეს ფესტივალის საუკეთესო ფილმი გახდა და მთავარი ჯილდო — ოქრის ზეთისხილის ხე გადაეცა.

ფილმი ასევე დააჯილდოვეს საუკეთესო საოპერატორო ნამუშევრისთვის და კინოკრიტიკოსთა საერთაშორისო გაერთიანების, FIPRESCII-ს პრიზით.

ჰონ კონგის საერთაშორისო კინოფესტივალზე გრან პრის მფლობელი გახდა. ფილმს ფესტივალის მთავარი ჯილდო „ცეცხლოვანი ფრინველი“ გადაეცა.

The New York Times-მა ნანა ექვთიმიშვილი და სიმონ გროსი იმ ცხრა ახალ რეჟისორს შორის დაასახელა, რომელთა ფილმებსაც აუცილებლად უნდა უყუროთ.

ᲡᲐᲜᲗᲔᲚᲘ

თენგიზ, ქეთინო, ქეთი ქავთარაძეები, ზაურ ფხალაძე სამძიმარს უცხადებენ ელზა და ბორია გოგიჩაიშვილებს ძმისშვილის

გიორგი ენგურის ძე გოგიჩაიშვილის

გარდაცვალების გამო.

ᲑᲣᲙᲘᲜᲘᲡᲢᲘ ᲘᲧᲘᲓᲘᲡ:

მე-18-მე-19 საუკუნეში გამოშვებულ წიგნებს — 1500 ლარად, საბჭოთა კავშირში გამოშვებულ ფაიფურის სტატუეტებს — 200 ლარად, ძვირად იყიდის 1945 წლამდე გამოშვებულ ჟურნალებს, მისალოცი ბარათებს, გრავიურებს, ნახატებს, ხელნაწერებს, პლაკატებს, საბავშვო წიგნებს, მოვერცხლილ ან ვერცხლის ჭურჭელს.

591-75-35-38.

◎ ერიჰა!

ორი – ორზე, წყვილი - წყვილზე!..

რამდენიმე წლის წინათ, ციმბირის ქალაქ ომსკის ქორწინების სახლში ახალშეუღლებულთა ცერემონიის ბევრ მხილველს თვალებში გაორების შეგრძნება ექმნებოდა. ამის მიზეზი კი ის გახლდათ, რომ იმ დღეს ტყუპები ქორწინდებოდნენ: ტყუპი ძმები – ვლადისლავ და სტანისლავ კუჩატოვები ტყუპ დებს – ნინა და ეკატერინე პეტუხოვებს ირთავდნენ.

ბავშვობაში ორივე წყვილი ერთ ეზოში ცხოვრობდა, ბავშვები ერთად იზრდებოდნენ. მეზობლები ხუმრობდნენ – აბა, დახედეთ, გამზადებული ნეფე-პატარძლებივით არ არიანო! – იხსენებს კატია. – მერე ჩვენ საცხოვრებლად სხვაგან გადავედით, „საქმროებიც“ გადაგვაგვიწყდა, მაგრამ თურმე ხალხი მართალს ამბობს, – სადაცაა ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენიო. წლების მერე მე და ნინამ და ძმებმა კუჩატოვებმა ერთ ტექნიკუმში ჩავაბარეთ!

გულთბილი შეხვედრის შემდეგ ძმებმა სიმპათიური დაიკოები ერთობლივ პაემანზე მიიწვიეს. – მათში პირველი ნინა „დანებდა“ სტანისლავს, მერე დას კატიაც „მიჰყვა“, – იცინის ვლადი.

– სატრფოები არასდროს აგვრევია, ან კი, სულაც, როგორ შეიძლება ასეთი რამ მოხდეს – შეყვარებული კაცი ქალის მზერას ხომ ათასში გამოარჩევ! – ასე უპასუხა ვლადმა ჟურნალისტის მზაკვრულ შეკითხვას. – თანაც, კატიას ცხვირზე ჭორფლის „ნახჭი“ სულ სხვანაირი აქვს, ვიდრე ნინას, – კიდევ ერთი ასპროცენტიანი „არგუმენტი“ მოიშველია მან.

პირმშოს გაჩენით პირველებმა კატიამ და ვლადმა გაიხარეს, ცოტა ხანში მათი ბიჭუნა 2 წლისა გახდება, ნინასა და სტასის გოგონა კი მასზე ოთხი თვით უმცროსია.

– ერთმანეთთან ახლოს ვცხოვრობთ, ავტობუსის სულ რამდენიმე გაჩერებასთან, ასე რომ ყოველდღე ვხვდებით, ბავშვებს ერთად ვასეირნებთ, რაღაცეებს ერთადაც ვყიდულობთ და ჩვენს ყოველდღიურ ამბებსაც ვყვებით, – ამბობს ნინა. – ჩემი ქმარი ტაქსისტია, კატიასი – ელექტროშემდუღებელი, ჩრდილოეთში მუშაობს. მოკლედ, ქმრები ოჯახების სარჩოს შოულობენ, ჩვენ კი ჯერჯერობით დეკრეტში ვართ, ქსიუშასა და მატვეის ვზრდით.



როცა გოგოები ფეხმძიმედ იყვნენ, ყველას აინტერესებდა, ბავშვები ვის დაემსგავსებოდნენ, მშობლები ხომ ორივე მხრიდან ტყუპები ჰყავთ. მერე კი აღმოჩნდა, რომ ამის მიუხედავად, ბავშვები ერთმანეთს კი ჰგვანან – სხვა თუ არაფერი, ერთდროულად ხომ დეიდაშვილებიც არიან და ბიძაშვილებიც! – მაგრამ იერით მაინც განსხვავდებიან, ამდენად, სხვებისგან განსხვავებით, დედები მათ ერთმანეთისგან კარგად არჩევენ. მაგრამ დედის მზერა რომ სულ სხვაა, ეს საყოველთაოდ ცნობილია!

დალი ხუნდაძე

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო
ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

◎ ინტერნეტიდან

ფრთები ამერიკაში გაშალა

ფესვებითა და ჯიშ-ჯილაგით ურუგვაელი მოდელი ვერონიკა ზოპოლო აგერ უკვე ხუთ წელზე მეტია, რაც ნიუ-იორკში მოღვაწეობს და ამერიკის შეერთებულ შტატებში მორუზრუზე მამრთა დაჟინებულ მზერას ისე კოხტად უმკლავდება, პოლიციასაც კი არ იძახებს.

თავისუფალ დროს მისი საყვარელი სპორტის სახეობით – ფრენბურთით კლავს ჟამს და ერთ რამედ ღირს ამ დროს მისი ცქერა. ისე კი, თავისუფალი დრო ბევრი ნამდვილად არა აქვს, რადგან საკმაოდ პრესტიჟულ ამერიკულ სამოდელო სახლთან თანამშრომლობს და ასეთ ასულს ტყუილად ვინ მოაცდენს?...

ვერონიკა ზოპოლომ თავის დროზ მშობლიურ ურუგვაიში სილამაზის კონკურსშიც მიიღო მონაწილეობა, მაგრამ თვალებდასაფსებმა ჟიურიმ ვერონიკას სხვა შხვართები ამჯობინა და სწორედ ეს წარუმატებლობა გახდა სენიორიტა ზოპოლოს ამერიკაში გადაბარგების ერთ-ერთი მიზეზი. აბა, რა ეგონათ?!

ვიტალი ჯაფარიძე

გასაცინებელი ა(მ)ბები

მიზანაუცდენლად

დონ ალვარო დუელიდან დაბრუნდა. ცოლმა შეჰყვირა:

– დაჭრილი არ ხარ?

– არა.

– დონ კარლოსი? მოკვდა?

– არა ცოცხალია და უვნებელი.

– მაშასადამე, დუელი არ შემდგარა?

– შედგა. მაგრამ ორივემ ისე მიზანაუცდენლად ვისროლეთ, რომ ტყვიები შუა გზაში ერთმანეთს შეეჯახნენ.

ოპერაცია

პოლიციასთან ურთიერთობის დროს ბრიტანელი ჯო მძიმედ დაიჭრა. ძმაკაცმა ჯო საავადმყოფოში მიიყვანა.

– თუ ჯო ოპერაციის დროს შემოგაკვდათ, – განუცხადა მან ქირურგს, – იცოდეთ, თქვენც უკან მიჰყვებით.

ქირურგმა მაგიდის უჯრიდან პისტოლეტი ამოიღო და ქირურგიული ხელსაწყოების გვერდით დადო.

– თუ თქვენი ჯო საოპერაციო მაგიდაზე მოკვდა, – მშვიდად მიუგო მან, – მე თქვენზე ხუთი წამით ადრე შევიტყობ.

მდგომარეობიდან გამოსავალი

კაფეში ხნიერი მამაკაცი შედის და მაგიდას მიუჯდება. ოფიციანტი უმალ თავზე დაადგება და არცთუ მაინცდამაინც ზრდილობიანად მიმართავს:

– ეს მაგიდა დაკავებულია.

– მერე რა, – ეუბნება ხნიერი მამაკაცი, – თუ ეგრეა, წაიღეთ ეს მაგიდა და მე სხვა მომიტანეთ.



გამოიწერეთ ან ყოველდღე იყიდეთ „საქართველოს რესპუბლიკა“ და ამით გადაარჩინეთ თქვენი გაზეთი

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4637; ევრო - 3.0715;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4770;
100 რუბლი - 4.3533; თურქული ლირა - 0.6543;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4499;
1000 სომხური დრამი - 5.1188.

ამინდი 7 თებერვლისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-1,	დღე	+15
მთიანი რაიონები -	ღამე	-4,	დღე	+8
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+4,	დღე	+15
მთიანი რაიონები -	ღამე	-2,	დღე	+11
თბილისი:	ღამე	+2,	დღე	+10

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge